# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 4 ივნისი 2003 №101 (1872) ფასი 50 თეთრი





# კარგი ამბავი 11-ში იყოს

## დემერკაცია ცუდი საქმეა

ირლანდიასთან მატჩამდე ზუსტად ერთი კვირით ადრე ახალი ამბები გვაქვს. ამ ამბავთაგან ზოგი კარგია, ზოგიც ცუდი. წესია, თხრობას ცუდი ამბებით იწყებენ და ჩვენც ასე მოვიქეცით.

ირლანდიელთა მენეჯერმა ბრაიან კერმა გუშინ საალბანეთო და საჩვენო შემადგენლობა გამოაცხადა, რომელშიც ყველა საუკეთესოს მოუყარა თავი. შემადგენლობაში არიან რობი კინი, იან ჰარტი და გარი კელი — ის ფეხბურთელები, რომლებიც ორი თვის წინ თბილისში არ ყოფილან და დიდ ძალას წარმოადგენენ.

სხვა ცუდი ამბავი ისაა, რომ საქართველოს ნაკრებმა დღესაც ვერ მოახერხა სრული შემადგენლობით ვარჯიში. ზოგი ფეხბურთელი ჯერაც გზაშია და გუშინ „ეროვნულზე" მხოლოდ 14-მა კაცმა ივარჯიშა. გიორგი დემეტრაძეს სულაც სავიზო პრობლემები შეექმნა, კიევი-თბილისის რეისს ვერ მიუსწრო, შემდეგი რეისი კი მხოლოდ პარასკევსაა და იქამდე რუსეთის გავლით თუ ჩამოვა. რუსეთთან კი, მოგეხსენებათ, ვიზაა საჭირო.

ახლა კი კარგი ამბები: ირლანდიელებს დაემტვრათ სტივენ ფინანი და ენდი ობრაიენი, კუნთი დასჭიმვია მეკარე შეი გივენსაც, თუმცა ეს უკანასკნელი იქითა ოთხშაბათამდე ალბათ მომჯობინდება. და ალბათ რაც მთავარია — საქართველოს ნაკრები არასდროს ყოფილა ისეთი დისციპლინირებული და შეკრული, როგორიც ახლაა, ივო შუშაკის ხელში. ხორვატი კი მომავალი მატჩის წინ უიმედოდ სულაც არაა.





# ტყებუჩავამ ახალგაზრდებს წამმზომი ჩაურთო

**საირლანდიოდ** შეკრებილმა საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა გუშინ პირველად ივარჯიშა.

წვრთნას პირადი პრობლემების გამო ვერ დაესწრო გუნდის დამრიგებელი რევაზ არველაძე და ვარჯიში „ნორჩ დინამოელის" მინდორზე მისმა თანაშემწე გოჩა ტყებუჩავამ ჩაატარა.

10 ივნისის ირლანდიასთან მატჩისთვის ოცი ფეხბურთელია გამოძახებული, მაგრამ გუშინ ოდენ თექვსმეტი იყო ტყებუჩავას განკარგულებაში — გიორგი დეკანოსიძე („ფიურტი", გერმანია), ლაშა რეხვიაშვილი („რუხი", პოლონეთი) და გიორგი ციმაკურიძე („სტალი", უკრაინა) ხვალისთვის შეუერთდებიან გუნდს, ხოლო ფორვარდი ირაკლი მოდებაძე („მეტალურგი", უკრაინა) ვერ ჩამოვა — მას კოჭი ისე გადაუბრუნდა, რომ ორი კვირა უნდა დაისვენოს.

ვარჯიში დინამიური გამოდგა. ოცდაერთწლამდელები ტყებუჩავამ კარგად დატვირთა. ბევრი დრო წაიღო ფლანგურმა ჩაწოდებებმა და კარში დარტყმებმა. მიწურულს ფეხბურთელებმა ძუნძულით და აჩქარებებითაც მოიდინეს ოფლი.

ტყებუჩავამ ვარჯიშის დაწყების წინ წამზომი ჩართო და როცა დამთავრების მერე დახედა, საათნახევარი იყო გასული.

ვარჯიშის დასრულების შემდეგ ფეხბურთელთაგან რომან ახალკაცსა („ტორპედო") და ანზორ კალაძეს („ურალანი", რუსეთი) გამოველაპარაკეთ.

*რომან ახალკაცი:*

— ტრავმის შემდეგ „ტორპედოში" ბოლო ორი თამაში ვითამაშე და ფორმაში შევედი. ირლანდიასთან გასვლაზე მოგება გვინდა — არ არის ჩვენი მეტოქი ის გუნდი, რომ ვერ დავამარცხოთ.

**— გაზაფხულზე ირლანდია-შვეიცარიასთან ტრავმის გამო არ იყავი გამოძახებული. როგორ ფიქრობ, ბურნაძის არყოფნაში მარჯვენა ფლანგს შენ განდობენ?**

— ალბათ ასე იქნება. ვეცდები, ჩემი საუკეთესო თვისებები გამოვამჟღავნო. ფლანგებზე თამაში ბრიტანული გუნდის წინააღმდეგ მართლაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია.

*ანზორ კალაძე:*

— „ურალანის" ძირითადში ჯერ იმიტომ არ მითამაშია, რომ ელისტაში ჩასულს პრობლემები შემექმნა — საჩემპიონატო განაცხადში გვიან შემიყვანეს, თანაც ტრავმირებული ვიყავი. ამას დაერთო დაძაბული ურთიერთობა „ურალანის" დუბლშემადგენლობის მწვრთნელ ლეონიდ სლუცკოსთან.

**— პირველი გუნდის მწვრთნელთან როგორი ურთიერთობა გაქვს?**

— იგორ შალიმოვთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს. სწორედ მისი შემწეობით მოვხვდი „ურალანში". მან მითხრა, პირველი გუნდისთვის გვჭირდები და მალე გათამაშებთ კიდეცო.

**— უთამაშებელი ხარ და არ გაგიჭირდება ირლანდიასთან ასეთი რანგის მატჩში მონაწილეობა?**

— საერთაშორისო მატჩების გარკვეული გამოცდილება მაქვს — მანამდე ხომ 17 და 19 წლამდელების ნაკრებებშიც მითამაშია. ფსიქოლოგიურად არანაირი დაბრკოლება ხელს არ მიშლის და ვფიქრობ, ჩემი სათამაშო კლასითაც გავალ ფონს.

**დავით თავართქილაძე**



# შეფამ სიონს გზა და ტრიბუნა მოსთხოვა

**მეთოთხმეტე** ეროვნული ჩემპიონატის ყველაზე დიდი სიურპრიზი ბოლნისური „სიონის" უეფას თასზე გასვლა გახლდათ. ქვემოქართლურმა გუნდმა მართლაც მოულოდნელ შედეგს მიაღწია და დამსახურებულად მოიპოვა ევროსაგზური. „სიონი" იყო იმ კურიოზული ვითარების მიზეზი, ჩემპიონატის ბოლო ტურში რომ შეიქმნა. ძნელია ისეთი შემთხვევის გახსენება, ფინანსური დაინტერესების გარეშე გუნდს მეტოქის გამარჯვება სდომოდეს და გახარებოდეს. სეზონის ბოლო მატჩში „დინამოსთან" წაგებით „სიონი" გამარჯვებული დარჩა, რადგან სწორედ თბილისელთა გაჩემპიონებამ მოუტანა საქართველოს თასის ფინალისტს ევროსაგზური.

უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის კენჭისყრა 20 ივნისს გაიმართება. მანამდე კი თავზესაყრელი საქმე აქვთ ბოლნისელებს, მით უფრო, რომ შინაურ კედლებში განუზრახავთ ევრომატჩის გამართვა.

ბოლნისელებს ერთობ წაადგათ რაიონის გამგებელ ზურაბ ჯაფარიძის თადარიგი. მან ჯერ კიდევ სეზონის დაწყების წინ კეთილმოაწყო სტადიონი. „თემურ სტეფანია" დღეს პლასტმასის ინდივიდუალური სკამებითაა გაწყობილი, ბოლნისურ სარბიელზე ახალი პრესლოჟა და საშხაპე-გასახდელები გაკეთდა. თუმც ყოველივე მაინც არ არის საკმარისი უეფას თასის მატჩის სამასპინძლოდ.

ჩვენ უნდა დავაკმაყოფილოთ უეფას მოთხოვნები, თქვა ზურაბ ჯაფარიძემ და სათანადო მითითებები გუშინ ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლთაგან მოისმინა. ბოლნისელებს რეკომენდაციები ბადრი ქარქაშაძემ და გია ძამუკაშვილმა მისცეს. უეფას ახალი კოდექსის გათვალისწინებით, უეფას თასის მატჩის მასპინძელ სტადიონს ოთხივე ტრიბუნა უნდა ჰქონდეს და თანაც სამანქანო გზაც უდგებოდეს. ბოლნისელები არ შეუშინდნენ ახალ მოთხოვნებს. ზურაბ ჯაფარიძის თქმით, დაუყოვნებლივ დაიწყება სათანადო სამუშაოები და მალე სათამაშო მოედანი ოთხივე მხრიდან შემოსაზღვრული იქნება ტრიბუნებით. ბოლნისელები სტადიონს სამანქანო გზასაც მიუყენებენ.

„სიონი" შინ ითამაშებს, ასეთია ბოლნისელთა მიზანი და თუკი დროულად მოესწრო საქმე, ქვემოქართლელთა სურვილს წინ ვერაფერი დაუდგება.

**ბაათა ძვანტალიანი**

საქართველოს 14 ჩემპიონატი — **გადათამაშება** — ქონება

თბილისი. 4 ივნისი. 18 საათი. ეროვნული

## გორდა — მცხეთა

**მსაჯები:** ა. შილაკაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ზ. მენთეშაშვილი (თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ო. გუნთაძე; **დირექტორი:** ნ. კაკულია

საქართველოს 14 ჩემპიონატი — პირველი ლიგა — **მატჩი პირველი ადგილისთვის** — ქონება

ფოთი. 4 ივნისი. 18 საათი. ფაზისი

## ლაზიკა — მერცხალი

**მსაჯები:** პ. დოგრაშვილი; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; გ. კიკაჩეიშვილი (ყველა ქუთაისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ბ. სიჭინავა



REUTERS

**BRAVO!** შევა ისტორიაში შევა! გუშინ ჩემპიონთა თასი მილანელებმა შევჩენკოს კიევში გაატანეს. ანდრიმ თასი პირველად ვალერი ლობანოვსკისთან მიიტანა

## ჰოლანდია

**პლეი ოფი. I ტური**

ჰელმონდი 0:0 ზვოლე
დენ ბოსხი 4:1 იგლსი
ჰერაკლესი 1:2 ვოლენდამი
ემენი 1:0 ექსელსიორი

## პოლონეთი

**XXX ტური**

ლეხი 2:4 ვისლა
პოლონია 1:1 კატოვიცე
გარბარნია 1:1 გურნიკი
ამიცა 0:1 გროცლინი
პლოცკი 0:1 ოდრა
ზაგლებე 1:3 ლეგია
რუხი 3:0 პოგონი
ვიძევი 2:1 ოსტროვიცი

## ამხანაგური მატჩები

**ინგლისი 2:1 სერბეთი**

1:0 ჯერარდი (35), 1:1 იესტეროვიჩი (45), 2:1 ჯ. კოული (82)

**ინგლისი:** ჯეიმსი, მილსი (კარაგერი 62), ეპსონი (ბარი ??), საუთგეიტი (ტერი 46), ე. კოული, ჯერარდი (ჯენასი 46), სქოულზი (ჰარგრივსი 46), ფ. ნევილი (ბიტი 85), ლამპარდი (ჯ. კოული 62), ჰესკი (ვასელი 62), ოუენი (რუნი 46)

**იტალია 2:0 ჩრდ. ირლანდია**

1:0 კორადი (51), 2:0 დელვეკიო (67)

**იტალია:** ტოლდო, ოდო, ლეგროტალიე (ბონერა 57), კანავარო (ფერარი 46), კროსო (ნერვო 69), ფიორე, ამბროზინი, პეროტა (ტომაზი 57), დივაიო (ბირინდელი 69), კორადი (დელვეკიო 46), მიკოლი (დი ნატალე 57)



REUTERS

ინგლისი — სერბეთი. სტუმართა ერთადერთი გოლი იესტეროვიჩის (№11) იყო




# დემეტრაძეს თბილისში რუსეთი არ უშვებს

**ირლანდიასთან** 11 ივნისის შესარჩევი მატჩისთვის მზადების მეორე დღეს საქართველოს ნაკრებში 14 ფეხბურთელმა ივარჯიშა. ორშაბათს შეკრებილთ გუშინ ჯერაც ინგლისური „დერბის" ნახევარმცველი გიორგი ქინქლაძე და თურქული „ქოჯაელის" გივი დიდავა დაემატნენ. ნაკრებში გამოძახებული სხვა ფეხბურთელები თბილისში წუხელ უნდა ჩამოფრენილიყვნენ.

გუშინდელი ვარჯიში „ეროვნულზე" ერთსაათიანი იყო. მწვრთნელმა ივო შუშაკმა ორიოდ დღის წინ პრესკონფერენციაზე თქვა, სეზონი ახალდამთავრებულია და ირლანდიასთან მომზადებისას ფეხბურთელთა დატვირთვას მოვერიდებიო. შუშაკმა შეგირდები ჯერ დააწყვილა და არაიმიული სირბილით ბურთის ერთმანეთთან მიტანა მოსთხოვა,


გიორგი ქინქლაძე

მერე ნაირ-ნაირი კომბინაციების, შეტევა-დაცვითი ვარიანტების დამუშავება იყო, ფიზმომზადების მწვრთნელმა ავთო ბერიძემ კი ფეხბურთელებს კუნთები მოადუნებინა და ვარჯიშიც დამთავრდა. მოედანი პირველმა ივო შუშაკმა დატოვა და ბიჭებსაც ავტობუსისკენ მიუთითა. ისევე როგორც რუსეთთან მატჩის წინ, ახლაც თვალში საცემი იყო წესრიგი, არც ერთი ზედმეტი სიტყვა, მწვრთნელის ხმამაღალ შენიშვნებს ფეხბურთელები ყურადღებით, მორჩილად ისმენდნენ.

ავტობუსისკენ მიმავალი ნაკრების ფეხბურთელებს კი საჩუქარი ელოდათ — სტუდია „აუდიენციამ" ეროვნულ გუნდის წევრებს პოპულარული დოკუმენტური სერიალის — „საქართველო XX საუკუნე" ვიდეოფირები უფეშქაშა. ბიჭებმა ხალისიანად მიიღეს ძღვენი.

ახლა ერთ პრობლემაზე. ეროვნული გუნდის თავდამსხმელი გიორგი დემეტრაძე თბილისში ეგებ პარასკევამდე ვერ ჩამოვიდეს. საქმე ისაა, რომ მან გუშინწინ თავის კლუბში სტუმრად ლვოვის „კარპატისთან" ითამაშა და კიევი-თბილისის რეისს ვეღარ ჩაუსწრო, კიევიდან შემდეგი თვითმფრინავი კი ჩვენკენ პარასკევს მოფრინავს. გიორგი ახლა მოსკოვის გავლით უნდა ჩამოვიდეს, მაგრამ შესაძლოა, რუსული ვიზის უქონლობის გამო ვერც ეს მოახერხოს. გუშინ დონეცკიდან კიევში, რუსეთის საელჩოში, დემეტრაძის სავიზო პრობლემის მოსაგვარებლად „მეტალურგის" წარმომადგენელი კი გაემგზავრა, მაგრამ მიიღებს თუ არა ჩვენიანი რუსეთში შესვლის ნებას, ჯერ არავინ იცის. და თუ დემეტრაძისთვის რუსული ვიზა არ გაკეთდა, ის პარასკევს ჩამოვა.

ივო შუშაკი სადღეისოდ უკვე სრულ შემადგენლობას ელის. მწვრთნელი საირლანდიო სამზადისზე ჯერ არაფერს ამბობს. მას პრესკონფერენცია სწორედ დღეს, დილის ბაზაზე აქვს დაგეგმილი.

**ქობა ინასარიძე**


ლადო ბურდულმა ავტოგრაფებიც ჩამოარიგა

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის X შესარჩევი ჯგუფი

## ჩვენი მეტოქე

შესარჩევი ეტაპი. 11 ივნისი

## ირლანდია – საქართველო

### ირლანდია

*მეკარეები: შეი გივენი (ნიუკასლი, ინგლისი), ნიკ კოლგანი (ჰიბერნიანი, შოტლანდია), ჯო მერფი (ვესტ ბრომვიჩი, ინგლისი);*

*მცველები: სტივენ კარი (ტოტენჰემი, ინგლისი), იან ჰარტი (ლიდსი, ინგლისი), ჯონ ოში (მანჩესტერი, ინგლისი), რიჩარდ დანი (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), გარი ბრინი (ვესტ ჰემი, ინგლისი), კენი კანინგემი (ბირმინგემი, ინგლისი);*

*ნახევარმცველები: ლი კარსლი (ევერტონი, ინგლისი), მეტ ჰოლანდი (იფსვიჩი, ინგლისი), მარკ კინსელა (ასტონ ვილა, ინგლისი), ალან ქუინი (შეფილდ უენსდი, ინგლისი), კევინ კილბეინი (სანდერლენდი, ინგლისი), სტივენ მაკფაილი (ლიდსი, ინგლისი), კოლინ ჰელი (სელტიკი, შოტლანდია);*

*თავდამსხმელები: სტივენ რიდი (მილუოლი, ინგლისი), დემიენ დაფი (ბლექბერნი, ინგლისი), გლენ ქროუ (ბოჰემიანსი), დევიდ კონოლი (უიმბლდონი, ინგლისი), გარი დოჰერტი (ტოტენჰემი, ინგლისი), ალან ლი (როტერჰემი, ინგლისი), რობი კინი (ტოტენჰემი, ინგლისი)*


ბრაიან კერის შემტევი ბიჭები: დემიენ დაფი და რობი კინი

# შუშაკის დამსახურება... კონკურენციაა

## მთავარი ინსტინქტი: ალექსანდრე იაშვილს სკამზე ჯდომა არ უხარია

*გერმანულმა „ფრაიბურგმა" სეზონისწინა იმედები გაამართლა – ბუნდესლიგაში ერთწლიანი პაუზის შემდეგ ალზევდა. ამაში ლომის წილი ქართველმა თავდამსხმელმა ალექსანდრე იაშვილმაც დაიდო. მართალია, „იაშკას" სეზონის მოზრდილი ნაწილი ტრავმების გამო გაუცდა, მაგრამ ამან მის წარმატებულ თამაშს ხელი ვერ შეუშალა. თავად განსაჯეთ, ალექსანდრე იაშვილი ერთადერთი ქართველია, ვინც წლევანდელი მეორე ბუნდესლიგური ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა. იაშვილის საამსეზონო მონაგარი ამით სულაც არ ამოიწურება — ის გერმანული პოპულარული გამოცემის, „კიკერის" გამოკითხვით უკრაინელი „მაინცის" ანდრეი ვორონინის შემდეგ მეორე ადგილზე გავიდა მეორე ბუნდესლიგაში მოთამაშეთა შორის.*

*და კიდევ. ამ სეზონში იაშვილი სხვა მხრივაც გამოირჩა — მან 21 საგოლე პასი გააკეთა, რაც ცხადია, ურიგო შედეგი არაა...*

*გუშინ ალექსანდრე იაშვილს ეროვნული ნაკრების ვარჯიშის დასრულებისთანავე გავესაუბრეთ*



— ირლანდიასთან რომ ურთულესი მატჩი გველის, ალბათ, ყველასთვის ცხადია. ჩვენი მეტოქე ძალიან ძლიერია და უფრო მეტი თავდადება გვმართებს. რუსეთთან მოგების შემდეგ გარკვეული შანსი კიდევ გაგვიჩნდა. ახლა მთავარია, ეიფორიაში არ ჩავვარდეთ, თუმცა დარწმუნებული ვარ, ბიჭებმა ეს უკვე დაივიწყეს. ირლანდიასთან სასურველი შედეგის მისაღწევად არაფერს დავიშურებთ. დანარჩენი მოედანზე გამოჩნდება.

**—ირლანდიელებთან თავადაც ითამაშე თბილისში...**

— მაშინაც გამოჩნდა, რომ მეტოქე ძალიან სერიოზულია. ირლანდიელებზე გარკვეული მოსაზრება, ცხადია, ყველას გვაქვს. ვნახოთ, როგორ წაგვიყვა თამაში.

**— რუსეთის ნაკრებთან არ გითამაშია. როგორც ფიქრობ, ივო შუშაკი ახლა მოგცემს ამის საშუალებას?**

— ნაკრებში იმის გამო მოვდივარ, რომ ვითამაშო. რუსეთთან ამის შანსი არ მომეცა და მწვრთნელს ამაზე საკუთარი მოსაზრება გააჩნია. იმედი მაქვს, ახლა მაინც ვითამაშებ, თუმცა წინასწარ აბა, რა გითხრათ. ბევრი რამ ივო შუშაკზეა დამოკიდებული. როგორც ის გადაწყვეტს, ისე იქნება. მე კი ფეხბურთელი არ მეგულება, ვისაც სათადარიგოთა სკამზე ჯდომა უხარია. ცხადია, თამაში გულით მინდა და თუ ამის შანსი გამიჩნდა, თავს არ დავზოგავ.

**— ივო შუშაკმა ორივე შეკრებაზე გიხმო. რა შთაბეჭდილება დაგრჩა მასზე?**

— თუნდაც რუსეთთან თამაშის შემდეგ გამოჩნდა, რომ ის კარგი მწვრთნელია. ახლა კი მორიგი გამოცდა გველის. უკან არ უნდა დავიხიოთ. ჩვენი შანსი ჩვენს ხელთაა. ისიც სასიამოვნოა, რომ ნაკრებში გვარიანი კონკურენციაა. ეს გუნდის თამაშზე უთუოდ დადებითად იმოქმედებს.

**— „ფრაიბურგზეც" ვთქვათ. ცხადია, ამ სეზონით კმაყოფილი იქნები...**

— რა თქმა უნდა, უკმაყოფილების საბაბი არ მაქვს. ბუნდესლიგის ს[illegible] მოვიპოვეთ და მიხარია, რომ გუნდის შესრულება მოვახერხეთ.

**— საკუთარ თამაშზე რას იტყვი?**

— სამწუხაროა, რომ პირველ წრეში ტრავმის გამო ბევრი თამაში გამოვტოვე, მაგრამ ამის მიუხედავად, მაინც კმაყოფილი ვარ. ფორმა სწრაფად აღვიდგინე და ძირითად შემადგენლობაშიც სტაბილურად ვხვდებოდი.

**— ამ სეზონში შედარებით ცოტა, ხუთი გოლი გაიტანე...**

— უფრო მეტად თანაგუნდელების პასებით მომარაგება მევალებოდა. ერთი სიტყვით, სათამაშო პოზიცია ოდნავ შევიცვალე, თუმცა უფრო მეტის გატანაც შემეძლო. ისიც გასათვალისწინებელია, რომ მეორე ბუნდესლიგის სიმბოლურ ნაკრებში მოვხვდი. თან საუკეთესო ფეხბურთელის გამოკითხვაში მეორე ადგილზე გავედი, რაც ურიგო შედეგი სულაც არაა. თუმცა ამას ჩემთვის მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, გუნდმა ბუნდესლიგის საგზური მოიპოვა. ფეხბურთელსაც ის უფრო სიამოვნებს, როცა გუნდისთვის მოაქვს სარგებლობა, დანარჩენი მეორეხარისხოვანია.

**— ერთი სიტყვით, დაძაბული სეზონი გადაიტანე. ახლა თავს როგორ გრძნობ?**

— ყველაფერი კარგადაა. ფიზიკურად არაფერს ვუჩივი, სათამაშო ფორმითაც კმაყოფილი ვარ. ასე რომ, ახლა ჩემი საფიქრალი მხოლოდ ნაკრებია.

**ძახა შალამბერიძე**

საქართველოს 14 ჩემპიონატი უმაღლესი ლიგა **მიმოხილვა**

# რა ვნახეთ?

## ბევრჯერ ნანახი და დინამო მეთერთმეტედ

მეთოთხმეტე ეროვნული ჩემპიონატი ოფიციალურად დღეს დასრულდება „გორდა“ — „მცხეთას“ გადათამაშებით და საამმატჩოდ ისეთი ვითარებაა შექმნილი, მოულოდნელი არაფერი უნდა მოხდეს. ამიტომ ვთქვათ, რომ საფეხბურთო საქართველოში საამსეზონოდ ყველაფერი გარკვეულია. სკანდალებით, მოულოდნელობებით, იმედითა და იმედგაცრუებით ალსავსე ათთვიანი ბატალიები დასრულდა, დასრულდა გაპატარკაციშვილებული „დინამოს“ ზეობით. მეთერთმეტედ ოქროს მომხვეჭმა ქართული ფეხბურთის ფლაგმანმა ჩემპიონობას სათასო ტიტულიც დააყოლა დესერტად.

რა ვნახეთ ათი თვის მანძილზე? კარგიც და ცუდიც. ჩემპიონატი თავიდანვე სკანდალურად დაიწყო. გეხსომებათ, პირველსავე ტურში სამი მატჩი ჩაიშალა ფედერაციის და კლუბების დაპირისპირების გამო. მთლიანობაში პირველი ეტაპი მოსაწყენი იყო და ამის უპირველესი მიზეზი გათამაშების რეგლამენტი გახლდათ. 132 დღე დასჭირდა გუნდების ექვსეულებად დაყოფას. ამის გასარკვევად ოთხ თვეზე მეტი მართლაც მეტისმეტი იყო.

მეორე ეტაპის უმთავრესი ღირსება, რაღა თქმა უნდა, ინტრიგა გახლდათ. მოწინავე ოთხეულმა მართლაც დიდი ცეცხლი დაანთო საჩემპიონო ბრძოლისას. ამათ დავუმატოთ ბოლნისის „სიონი“. ქვემოქართლური კლუბი საამსეზონო უპირველესი სიურპრიზის შემოქმედი გახდა — „სიონმა“ უეფას თასზე თამაშის უფლება მოიპოვა.

...და ხარისხი. უმთავრეს კომპონენტზე ბევრიც არაფერია სათქმელი, ბევრი ქართული სტადიონი საბურთაო კლუბად კი არა, საკარმიდამო ნაკვეთად უფრო გამოდგება. ამიტომ გაუთავებელი კამათი, აიწია თუ არა ჩემპიონატის დონემ, ვერაფერს შეცვლის. სამთავარსაქმოდ ვერც ინტრიგა და საქართველოს კვალობაზე ხმაურიანი ტრანსფერები ვერ იტყვის გადამწყვეტ სიტყვას. ოჯახის მოწყობას სახლი სჭირდება. უეფას ფულით აგებულ-გაკოხტავებული „ქართული ფეხბურთის სახლი“ კი სულაც არ არის ქართული ფეხბურთის სახლი. იგი ფედერაციის ოფისი გახლავთ. ქართულ ფეხბურთს სტადიონები სჭირდება.

### დინამო
თბილისი

გაფრთხილება: 24
გაძევება: 3
გოლი: 67
საშუალოდ მატჩში: 2,09 გოლი
ბომბარდირები:
დარასელია (15), ალექსიძე (9), ბურდული (5), ბობოხიძე (5), ამისულაშვილი (4)
საუკეთესო ფეხბურთელი:
კარლოსი



იგო შუშაკმა „დინამოს“ დაკარგული ჩემპიონობა დაუბრუნა

სამეორეეტაპო პირველ წრეში ერთი შეხედვით „დინამოს“ არცთუ შთამბეჭდავი შედეგი ჰქონდა — 3 მოგება თითო-თითო ფრის და წაგების წილ. თბილისელებმა მარცხით დაიწყეს ზეექვსეული. პირველსავე ტურში ქუთაისში დამარცხებით „დინამომ“ „ტორპედოს“ გადაულოცა ლიდერობა, მაგრამ მეორე ეტაპის ხუთი ტურის შემდეგ შუშაკის გუნდმა „დიდი გაქცევა“ მოაწყო და ერთბაშად 7-7 ქულით მოსწყდა „ტორპედოსა“ და „ლოკომოტივს“. საეჭვო იყო, დინამოელებს ეს უპირატესობა გაეფლანგათ. არც გაუფლანგავთ, ეგ არის, „ვიტ ჯორჯიას“ ღონიერებით მეტი ინტრიგა შეიმატა საჩემპიონო ბრძოლამ, თუმც შუშაკელებმა ვეტერინართა მწვავე ინექციაც უმტკივნეულად გადაიტანეს და ალალად იპირველეს.

„დინამოს“ ჩაუქრობა ადვილი ასახსნელია — გუნდს მწვრთნელი ჰყავს, ნასწავლი და ალღოიანი. ივო შუშაკი საუცხოოდ გაერკვა ჩვენი ბედოვლათი ჩემპიონატის ავანჩავანში. ხორვატი ტურიდან ტურამდე უფრო და უფრო მეტ განსწავლულობას ავლენდა. შუშაკის მარიფათი განსაკუთრებით მაშინ გამოადგა გუნდს, როდესაც ერთბაშად რამდენიმე დინამოელი საგრძნობლად დაშორდა ჩვეულ ფორმას. ხორვატმა გუნდური ფეხბურთით სცადა სიტუაციის გამოსწორება, დაჯაბნა კიდეც ამ გზით კონკურენტები და ბრავო შუშაკს გუნდურობისთვის.

### ტორპედო
ქუთაისი

გაფრთხილება: 28
გაძევება: 3
გოლი: 65
საშუალოდ მატჩში: 2,03 გოლი
ბომბარდირები:
იონანიძე (26), ასათიანი (6), დიდავა (6), პოროშინი (6)
საუკეთესო ფეხბურთელი:
იონანიძე

სად წაიღეს ქუთაისელებმა ამდენი ფული? — გაკვირვებული კითხულობდნენ ახალი წლიდან „ტორპედოს“ გულშემატკივრები. საშუასეზონოდ ქუთაისელებმა ვინც გასაყიდი იყო, ყველა გაყიდეს. დიდავა, ქემოკლიძე — თურქეთში, აკოფიანი — სომხეთში და, რაც მთავარია, ასათიანი „ლოკომოტივში“.

ფინანსური ოპერაციების ლოგიკური შედეგი არ დასტყობია კლუბის სალაროს. მეორე ეტაპის მანძილზე ფეხბურთელები დაუფარავად წუწუნებდნენ რამდენიმეთვიან სახელფასო დავალიანებაზე. ბოლოს კი ძაფიც გაწყდა. ალექსანდრ შტელინი თავის გზას დაადგა. უკრაინელი მწვრთნელი დღესაც კუთვნილის მოლოდინშია.

აი, ასეთ ვითარებაში გახდა ვიცეჩემპიონი ქუთაისური კლუბი და ეს მართლაც მაქსიმუმი იყო. „ტორპედომ“, ფაქტობრივად, ერთი მატჩით მოიპოვა უეფას თასის საგზური — უხელფასო ქუთაისელთაგან მართლაც მოულოდნელი იყო თბილისში „ვიტ ჯორჯიას“ წაქცევა.



ზურაბ იონანიძე

ქუთაისელებს ჰყავთ ზურაბ იონანიძე, გამოცდილი, ალღოიანი შემტევი. სწორედ მისი დიდი დამსახურებაა, სავარდო ქალაქში სამაისოდ ბევრმა რომ გაიხარა. „ტორპედოს“ უეფას თასზე გასვლა გუნის ქომაგებს სამომავლოდ დიდ იმედს უტოვებს.



„ვიტ ჯორჯიას“ მთავარგამტანი ლევან მელქაძე (მარცხნივ) იყო

### ვიტ ჯორჯია
თბილისი

გაფრთხილება: 29
გაძევება: 4
გოლი: 50
საშუალოდ მატჩში: 1,56 გოლი
ბომბარდირები:
მელქაძე (21), ადამია (7), კობიაშვილი (3)
საუკეთესო ფეხბურთელი:
მელქაძე

მეორე ეტაპის წინ ქართულ ფეხბურთში მოტრიალეთათვის ყველაზე ადვილად გამოსაცნობი „ვიტ ჯორჯიას“ საბოლოო სატურნირო პოზიცია გახლდათ. ვეტერინარებს თითქმის ყველა მეოთხეობას და ნაცად ინტერტოტოს თასზე თამაშს უწინასწარმეტყველებდა. საბოლოოდ ვეტერინარებს მართლაც „ინტერტოტო“ შერჩათ ხელთ, თუმც მკერდი ბრინჯაოთიც დაიმშვენეს. ჯანი კარნევალის გონიერმა გუნდმა ოქროს ზღვარზე იარა, ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა, ბევრი ქომაგიც შეიძინა და ეგებ უფრო მეტსაც იმსახურებდა, მაგრამ „ვიტ ჯორჯიას“ ერთობ მნიშვნელოვანი მინუსი ჰქონდა. გუნდმა ვერც ერთი პრინციპულ მატჩში ვერ მოიგო და ასეთ ვითარებაში უთუოდ წარმატებაა კარნევალის და მისი ბიჭების ბრინჯაო.

### ლოკომოტივი
თბილისი

გაფრთხილება: 39
გაძევება: 2
გოლი: 51
საშუალოდ მატჩში: 1,59 გოლი
ბომბარდირები:
სირაძე (9), რუსია (5), ნანა (4), ზ. ჯანაშია (4), რ. ონიანი (3), მ. ბურნაძე (3)
საუკეთესო ფეხბურთელი:
სირაძე

ლუისი ილუზიაა.

საპნის ბუშტივით გასკდა ბევრისთვის ისედაც საეჭვო მითი ლუის ცაკარიასის მცოდნე მწვრთნელობისა. ეგებ მართლაც ჩინებული სპეციალისტია გადამთიელი ულვაშა და უბრალოდ, საქართველოა ისეთი ჯადო ადგილი, სადაც პერუელ-ბერძენმა თავისი შესაძლებლობების გამოვლენა ვერ მოახერხა.

ცაკარიასის ჩავარდნის მიზეზებზე რკინიგზელებსაც არა აქვთ პასუხი, რაკილა სეზონის ბოლომდე შეინარჩუნა უცხოტომელმა კლუბში თავისი პოზიციები.

„ლოკომოტივის“ სათავეში ფეხბურთში საფუძვლიანად ჩახედული ხალხი დანარჩენებს რომ ჭარბობდეს, ეგებ რკინიგზელთა ჩავარდნა ფეხბურთელებს არ დაბრალდებოდათ. ფეხბურთელის ბრალი არამც და არამც არ არის ის, რომ გუნდი თითოეულ მატჩში ერთი და იგივე ყბადაღებული ტაქტიკით თამაშობდა. ცაკარიასის დაჟინებულმა საპაერო ბურთაობამ მიწაზე დაუშვა „ლოკომოტივი“. პერუელი მეორე ეტაპის დასაწყისში თავს იმით იმართლებდა, რომ გალიარდო არ ჰყავდა, მხიარული რაფაელი ჯანმრთელობაშერყეული დაშორდა რკინიგზელებს. ცაკარიასმა გალიარდოობა სოსელიას დაავალა, თუმც ტყუილად დაიხარჯა. მერე იგივე თანამემამულე სალასარს მოსთხოვა, აქედანაც არაფერი გამოვიდა და სეზონის ბოლოს ლუისს ჩავარდნის ბანალური მიზეზი აღმოაჩნდა — არაკომპეტენტური მსაჯობა და ზეწოლა ფედერაციიდან.

„ლოკომოტივი“, ფაქტობრივად, ერთი ხელის მოსმით დაშალა აკაკი ჩხაიძემ და ამ შემთხვევაში არაკომპეტენტურობა მსაჯებში კი არა, თავად რკინიგზელებშია საძებარი.



ლუის ცაკარიასი საქართველოდან უსახელოდ წავიდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სიონი
ბოლნისი

გაფრთხილება: 29
გაძევება: 2, გოლი: 35
საშუალოდ მატჩში: 1,09 გოლი
ბომბარდირები:
შავგულიძე (11),
დ. გოდერძიშვილი (8),
გაბისკირია (6)
საუკეთესო ფეხბურთელი:
გაბისკირია

პატარა ბოლნისური კლუბი უეფას თასის საგზურს გასწვდა და ამით ყველაფერია ნათქვამი.

„სიონი“ ეფექტური იყო საშინაო მატჩებისას, მაგრამ სეზონის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოცდა სტუმრად ჩააბარეს ქვემოქართლელებმა. სწორედ „ტორპედოსთან“ სათასო ნახევარფინალში უგოლო საპასუხო მატჩში გაიჩარხა ბოლნისელთათვის ისტორიული საქმე.

„სიონი“ მთელი სეზონის მანძილზე უტეხი, აგრესიული იყო და ეს თვისება სათასო ფინალშიც რომ შერჩენოდა, ეგებ უფრო შორსაც წასულიყო.

## კოლხეთი
ფოთი

გაფრთხილება: 40
გაძევება: 3, გოლი: 33
საშუალოდ მატჩში: 1,03 გოლი
ბომბარდირი:
გონჩაროვი (8)
საუკეთესო ფეხბურთელი:
გონჩაროვი

ტრადიცია არ დარღვეულა „კოლხეთისთვის“. სეზონის ბოლოს სოსო ფილია ისევ კმაყოფილია. ჩემპიონატის ექვსეულებად დაყოფა სწორედ მისი გუნდისთვისაა მოგონილი. ზღვისპირელებმა უპრობლემოდ მიაღწიეს დასახულ მიზანს პირველ ეტაპზე — მოიპოვეს ზეექვსეულის საგზური. გაზაფხულიდან კი ჩვეული ბედოვლათობით შეუდგნენ საქმეს. ისე ხანდახან ჩემპიონატს ფოთიდანაც შეეხედებოდა — „კოლხეთმა“ საშინაო მატჩებში სამივე პრიზიორსართვა ქულები.

## დილა
გორი

გაფრთხილება: 37
გაძევება: 1, გოლი: 32
საშუალოდ მატჩში: 1 გოლი
ბომბარდირები:
მუშკუდიანი (6),
სულთანიშვილი (5),
ძოძუაშვილი (4), ხმალაძე (4)
საუკეთესო ფეხბურთელი:
მუშკუდიანი

სწორად საქმის კეთების სურვილმა ალაზევა „დილა“ თავისთვის სარეკორდო მეშვიდე ადგილზე. გორში ნიჭიერი ფეხბურთელები არასდროს ჰკლებიათ, ამას გუნდის მესვეურებმა ფინანსებიც შეაშველეს და სამომავლოდ უფრო დიდი ამბიციებიც ექნებათ ქართლელებს. მეორე ეტაპზე ლამაზი გოლებით და დახვეწილი თამაშით „დილაში“ ახალგაზრდა მუშკუდიანს გამოვარჩევთ.

გორელებმა წლეულს პირნათლად უერთგულეს „ფეირ პლეის“ პრინციპს — თავიანთთვის უმოტივაციო არც ერთ მატჩში არ დაუწვნენ მეტოქეებს.

## ბათუმი

გაფრთხილება: 32
გაძევება: 4
გოლი: 28
საშუალოდ მატჩში: 0,8 გოლი
ბომბარდირები:
გ. მოდებაძე (8), დარჩიძე (6)
საუკეთესო ფეხბურთელი:
დარჩიძე

მთელი სეზონის მანძილზე ასლან ბალაძე თავისი გუნდის ფეხბურთელებს საქმისადმი ხერხულ მიდგომაში აღანაშაულებდა და სამართლიანადაც. პირველი ეტაპის შემდეგ გამოცდილი ტულუშისა და მაჭუტაძის წასვლისას „ბათუმი“, ფაქტობრივად, ახალგაზრდების იმედად დარჩა და ასლან ბალაძემ ავად თუ კარგად თავი გაართვა ერთ დროს ამბიციური გუნდის მოკრძალებული მიზნის შესრულებას.

„ბათუმი“ კვლავაც უმაღლესლიგელია და სამომავლოდ მოწინავეთა შორის ხმაურიან დაბრუნებას გეგმავს.

## მერანი-ოლიმპი
თბილისი

გაფრთხილება: 32
გაძევება: 2, გოლი: 40
საშუალოდ მატჩში: 1,25 გოლი
ბომბარდირები:
კოშკაძე (9), დავითაშვილი (5),
ფირცხალაიშვილი (5)
საუკეთესო ფეხბურთელი:
ხოჯავა

მეორე ეტაპზე გუნდი მწვრთნელთა ცვლით იყო გამორჩეული. ერთხანს გასავარდნთა ზონასაც უტრიალა, მაგრამ ორიოდ გამოცდილით და ახალგაზრდული შემართებით შეძლო რჩეულთა შორის ადგილის შენარჩუნება. „მერანი-ოლიმპში“ ბევრი ნიჭიერი, ახალგაზრდა ფეხბურთელია, რაც გუნდის მესვეურებს სამომავლოდ შესაძლებლობების უკეთ წარმოჩენის საშუალებას მისცემს.

## გორდა
რუსთავი

გაფრთხილება: 36
გაძევება: 6, გოლი: 30
საშუალოდ მატჩში: 0,9 გოლი
ბომბარდირები:
გოცირიძე (8),
ლ. ალადაშვილი (4), ჯელაძე (4)
საუკეთესო ფეხბურთელი:
სილაგაძე

არ შეიძლება, გუნდი ექვსი სეზონის მანძილზე მაჩანჩალათა ზონაში ტრიალებდეს. ერთ დროს სახელოვანი „გორდა“ ზედიზედ მეორედ მოხვდა გადათამაშებაში და დღეს დიდი შანსია, რჩეულთა შორის დარჩეს, მაგრამ ამით არაფერი შეიცვლება თუ რუსთავში სერიოზულად არ დაინტერესდნენ გუნდის ბედით. კოკა ყოველთვის წყალს ვერ მოიტანს, ასეც რომ იყოს, „გორდას“ ამგვარ პირობებში არსებობა საფეხბურთო თვალსაზრისით უსარგებლოა.

## მილანი
წნორი

გაფრთხილება: 35
გაძევება: 2, გოლი: 18
საშუალოდ მატჩში: 0,5 გოლი
ბომბარდირები:
მ. სამხარაძე (5), მედოევი (4)
საუკეთესო ფეხბურთელი:
მამალაძე

ქიზიყელებმა ვერ მოიკიდეს ფეხი უმაღლეს ლიგაში. მწვრთნელ-ფეხბურთელთა ხშირმა ცვლამ, ცხადია, შედეგი ვერ მოუტანა წნორელებს. გუნდი ფაქტობრივად ყოველ თვე სხვადასხვა ბირთვით თამაშობდა. ბევრი რამ „მილანის“ ლიდერ ზაზა მედოევზე იყო დამოკიდებული, მაგრამ „პანკისის ლომმა“ ლომობა ვერ გასწია და ქიზიყელებსაც თუ სურვილი შერჩათ, ახლიდან მოუწევთ საქმი დაწყება.

## მეტალურგი
ზესტაფონი

გაფრთხილება: 35
გაძევება: 1, გოლი: 17
საშუალოდ მატჩში: 0,5 გოლი
ბომბარდირები:
ენდელაძე (6)
საუკეთესო ფეხბურთელი:
ენდელაძე

სირცხვილი ზესტაფონელებს. ასე გუნდს კი არა, დამმარცხებულ ლვინოს არ გაიმეტებდა კაცი. „მეტალურგი“, ფაქტობრივად, ჩემპიონატის დამთავრებამდე სამი თვით ადრე გავარდა. სეზონის წინ რიხით დაწყებული საქმე შუა გზაში მიატოვეს გუნდის მესვეურებმა და პირტიტველა ბიჭებს საქმიანი მიდგომის ნაცვლად წაგებულის ტვირთი აჰკიდეს. „მეტალურგმა“ ერთიც ვერ გაიტანა და 29 გოლი გაუშვა 10 წაგებულ მატჩში.

**პაატა ძვანტალიანი**



ბოლნისიდან ქულის წაღებაც საშური საქმე იყო

## საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 10 | 6 | 2 | 2 | 17:7 | 48 |
| ტორპედო | 10 | 6 | 2 | 2 | 15:5 | 46 |
| ვიტ ჯორჯია | 10 | 4 | 4 | 2 | 10:7 | 41 |
| ლოკომოტივი | 10 | 4 | 1 | 5 | 16:10 | 38 |
| სიონი | 10 | 2 | 2 | 6 | 9:20 | 23 |
| კოლხეთი | 10 | 0 | 5 | 5 | 5:23 | 20 |
| დილა | 10 | 5 | 3 | 2 | 15:8 | 29 |
| ბათუმი | 10 | 5 | 3 | 2 | 12:5 | 28 |
| მერანი-ოლიმპი | 10 | 4 | 3 | 3 | 15:5 | 27 |
| გორდა | 10 | 5 | 3 | 2 | 8:3 | 25 |
| *მილანი* | *10* | *3* | *4* | *3* | *7:7* | *20* |
| *მეტალურგი* | *10* | *0* | *0* | *10* | *0:29* | *10* |

## ყველა გაძევება

ფეხბურთელები:

არჩვაძე (ბათუმი), ანჩაბაძე, ახალაია (ორივე დინამო), კ. ალადაშვილი, ბერიძე (ორივე გორდა), ბურნაძე (სიონი), გამეზერდაშვილი (ტორპედო), გოჩაშვილი (ვიტ ჯორჯია), გოროზია (კოლხეთი), ზაზაშვილი (ვიტ ჯორჯია), ირემაშვილი (სიონი), კობიაშვილი (ვიტ ჯორჯია), კობიძე (ბათუმი), ზ. ლაბაძე (გორდა), ზ. ლაცაბიძე (ლოკომოტივი), მელქაძე (ვიტ ჯორჯია), მეტონიძე (მილანი), ნარსია (კოლხეთი), ნაჭყებია (მერანი-ოლიმპი), პოროშინი (ტორპედო), რომანაძე (ბათუმი), სახვაძე (დინამო), გ. სომხიშვილი (დილა), ყიფიანი (ვიტ ჯორჯია), შეყრილაძე (მეტალურგი), ჩიჩუა (ბათუმი)

მწვრთნელები:

ო. გაბელია (მერანი), რ. კაკულია (მილანი), მ. მიქავა (კოლხეთი), ა. შტელინი (ტორპედო)

## ყველაზე მეტი გაფრთხილება

- მესხი (მერანი-ოლიმპი) — 8
- ა. ლაბაძე (კოლხეთი) — 7
- ქუტიძე (კოლხეთი) — 6
- იონანიძე (ტორპედო) — 5
- ადამია (ვიტ ჯორჯია) — 5
- არჩვაძე (ბათუმი) — 5
- კვარაცხელია (ლოკომოტივი) — 5
- სირაძე (ლოკომოტივი) — 5
- გ. ჩიტაია (დილა) — 5

## სიმბოლური ნაკრები

რატი ალექსიძე — დინამო
ლევან მელქაძე — ვიტ ჯორჯია
ზურაბ იონანიძე — ტორპედო
დავით კვირკველია — დინამო
დავით დიღმელაშვილი — ვიტ ჯორჯია
დავით სირაძე — ლოკომოტივი
კარლოს და როჩა — დინამო
ალეკო ამისულაშვილი — დინამო
ოთარ ხიზანეიშვილი — დინამო
თენგიზ კობიაშვილი — ვიტ ჯორჯია
გიორგი ლომაია — ლოკომოტივი
მწვრთნელი: ივო შუშაკი დინამო



„დინამოს“ ბრაზილიელი კარლოს და როჩა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ა. ტალანტა



მილიანო ბონაცოლიმ „რეჯინას" გამარჯვებისა შეაგდო

## იტალია

### სერია A. პლეი ოფი. საპასუხო მატჩი

**ატალანტა 1:2 რეჯინა (0:0)**

1:0 ნატალი (18), 1:1 კოცა (33), 1:2 ბონაცოლი (85)

**ატალანტა:** ტაიბი, სივილია (რუსტიკო 36), კარერა, ნატალი, ბელინი (პინარდი 71), გაუტიერი, ბერეტა (ინაჩიო პია 82), დაბო, ძაური, როსინი, ვუგრინეცი

**მწვრთნელი:** ჯანკარლო ფინარდი

**რეჯინა:** ბელარდი, ჟირანეკი, ტორიზი, ი. ფრანჩესკინი, დიანა, პარედესი, მოცარტი, ფალზინი, კოცა (ვარგასი 78), ბონაცოლი (სავოლდი 88), დი მიკელე

**მწვრთნელი:** ლუიჯი დე კანიო

**გაფრთხილება:** გაუტიერი, რუსტიკო, ბონაცოლი

**მსაჯი:** კოლინა

15 000 მაყურებელი

„რეჯინამ" „ატალანტა" სერია B-ში ჩააგზავნა — „სტადიო აძური დიტალიაზე" გამართული საპასუხო საპლეიოფო შეხვედრა, რომელსაც ორი თანაბარქულიანი გუნდიდან ერთის დარჩენისა და ერთის გავარდნის ამბავი უნდა გაერკვია, სტუმრების გამარჯვებით, 2:1 დასრულდა. აღსანიშნავია, რომ ეს მატჩი შაბათს უნდა გამართულიყო, მაგრამ ძლიერი წვიმის გამო ორშაბათამდე გადაიდო.

პირველ შეხვედრაში მეტოქეებმა 0:0 ითამაშეს, საპასუხო მატჩის პირველ ათწუთიან მონაკვეთში კი ორივე მხარეს ჰქონდა გოლის გატანის დიდებული შესაძლებლობები. ჯერ იყო და, ფრანჩესკო კოცამ ისე ჩააწოდა კუთხური, რომ „ატალანტას" მეკარის, ტაიბის ხელგაკრული ბურთი ძელს მოხვდა, ხოლო მე-8 წუთზე იტალიის ნაკრების წევრმა, ლუჩანო ძაურიმ ვერ გამოიყენა შანსი — საჯარიმოს კიდიდან ხეირიანად ვერ დაარტყა და ბურთი „რეჯინას" მეკარემ, ბელარდიმ იოლად მოიგერია. ამ მომენტამდე კი ტაიბის მოუხდა ერთხელაც ბურთის მოგერიება.

მე-18 წუთზე მასპინძლებმა გატეხეს ნავსი: კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს საჯარიმოში არეულობა გადახდა, სადაც ყველაზე საზრიანი მცველი ნატალი გამოდგა და ანგარიში გახსნა.

შემდეგ რეჯინელ მოცარტს შეეძლო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ ტაიბიმ ამჯერადაც იყოჩაღა, თუმცა საბოლოოდ მაინც ივარგეს სტუმრებმა — კოცამ მოახერხა ტაიბის დამარცხება. სხვათა შორის, „რეჯინას" შესვენებამდე კიდევ ერთი გოლის გატანა შეეძლო, მაგრამ დი მიკელემ ახლოდან აცილება მოახერხა.

მეორე ტაიმში „ატალანტა" მობილიზებული დაუბრუნდა მოედანს, გარემარბმა გაუტიერიმ განსაკუთრებით დაამახსოვრა მაყურებელს თავი და მისმა ორმა ცდამ კინაღამ გამოილო შედეგი. „რეჯინას" სულ მეტად და მეტად უხდებოდა დაცვაში ჩაღრმავება, რაც სამი თავდამსხმელით გამოსულ მასპინძლებს დიდ სამოქმედო ასპარეზს აძლევდა — მათ შემადგენლობაში ალექს პინარდიც გამოჩნდა, — მაგრამ რეალური მომენტი 78-ე წუთამდე არ გამოჩენილა, როდესაც ბელარდიმ სასწაულებრივ იხსნა რეჯო კალაბრიას გუნდი. დიდებული რეაქცია მან კარის ხაზიდან ორ ნაბიჯში მდგომი გაუტიერის დარტყმაზე გააკეთა.




ხოლო 10 წუთის შემდეგ სტუმრებმა საბედისწერო გოლი გაიტანეს — ბონაცოლიმ საჯარიმოს კიდიდან მარცხენა ფეხით შეაგდო.

დარჩენილ დროში „ატალანტამ" ისევ გამოიდო თავი, მსაჯის წამატებულ წუთებში ვუგრინეცმა თავურით კინაღამ გაიტანა კიდეც, მაგრამ ამ დროისთვის ქომაგთა დიდ ნაწილს ტრიბუნები უკვე დატოვებული ჰქონდა.

**პაპუნა ძედია**



ოლივერ ბირჰოფმა ბუცები ლურსმანზე ჩამოკიდა

# პირველი ოქრო-გავის გოლი

**35 წლის** ოლივერ ბირჰოფმა კარიერა დაასრულა. ფეხბურთელთა უმეტესობას ბუცების ჩამოკიდება წარმატებული სეზონის შემდეგ, ანუ ჯილდოთი ხელდამშვენებულებს სურთ. რა თქმა უნდა, ტრიუმფით წასვლას ყველა ვერ ახერხებს, მაგრამ როცა ოლივერ ბირჰოფზე ვსაუბრობთ, უპირველესად ევროპის 1996 წლის ჩემპიონატის ფინალი გვახსენდება, როცა იგი „ოქროს გოლის" პირველი ავტორი შეიქნა, გერმანია კი მისი დუბლის წყალობით ევროპის ჩემპიონი გახდა.

ბირჰოფის გზა „ესენიდან" დაიწყო — „ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ პურს ფეხბურთის წყალობით მოვიპოვებდი. მე უფრო უნივერსიტეტში სწავლა მეწადა" — გაიხსენა გერმანელმა.

„ესენის" შემდეგ იურდინგენის „ბაიერი" იყო. პირველ სეზონში 19 მატჩში გუნდს სამი გოლით შეეწია. მომდევნო ოთხ წელიწადში ჯერ „ჰამბურგში", მერე კი მიონხენგლადბახის „ბორუსიაში" სამს ოდენ ექვსი შემატა.

ოლივერ ბირჰოფმა ბუნდესლიგაში ხეირი რომ ვერ ნახა, ქვეყნის გამოცვლა გადაწყვიტა და 1990 წელს მეზობელ ავსტრიაში, „ზალცბურგში" გადაბარგდა.

„ზალცბურგის" მაისურაში გამოწყობილმა სადებიუტო მატჩში 4(!) გაიტანა და საკუთარი ადგილი იპოვა. ავსტრიულ კლუბში 35 შეხვედრაში 23 გოლი მიითვალა. „ავსტრიული სეზონით ჩემს ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო" — თქვა ფეხბურთელმა, რომელიც შემდეგ იტალიურ „ასკოლიში" გაანათხოვრეს. იტალიაში თავიდან ფეხი ვერ მოიკიდა, მაგრამ მერე, ორი წლის განმავლობაში, მეტოქეთა მეკარეები 37-ჯერ დაამწუხრა. სწორედ „ასკოლიდან" გადაიყვანეს „უდინეზეში", იქიდან „მილანში", საიდანაც „კიევოში" აღმოჩნდა.

სერია A-ს ბოლო ტურში „კიევო" „იუვენტუსს" შეხვდა. ცხადია, ვერონელებს გერმანელი ლეგიონერის გაცილება გამარჯვებით ეწადათ. „კიევო" დამარცხდა, თუმც ოლივერ ბირჰოფმა პირადი ზეიმი მაინც მოიწყო, რადგან მეორე ტაიმში ჰეთ თრიქი შეასრულა და ისე დაემშვიდობა ვერონას. „მადლობა იტალიას იმისთვის, რომ ეს ქვეყანა თერთმეტი წლის მანძილზე ჩემი მეორე სამშობლო იყო".

ოლივერ ბირჰოფი სერია A-ს ყველაზე შედეგიანი გერმანელი ლეგიონერია. მან 103 გოლი შეაგდო, 1997-98 წლების სეზონში კი საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ბუნდესნაკრებში მან 70 მატჩში 37 გოლი მიითვალა.

**მაშა ხუციშვილი**

# 2376 წუთი მილანთან ერთად

„მილანის" ბოსებმა სეზონის მონაგარი შეაჯამეს და კალაბრიის პროვინციის პატარა ქალაქ პარაელიოსში ბიზნეს-ფორუმი მოაწყვეს. ფორუმს პირობითად WORKSHOP 2003 MILAN ეწოდა.

ერთ-ერთი სასტუმროს საპრესკონფერენციო დარბაზში ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი მენეჯერებთან — ლაურა მაზისთან და მაურიციო ტავოლასთან ერთად კლუბის აქციონერებისა და სპონსორების წინაშე ანგარიშით წარსდგა.

ფინანსებზე და ბუღალტრულ აღრიცხვებზე ლაქლაქს რომ მორჩნენ, ვიცე-პრეზიდენტს ჟურნალისტებმა სამომავლო ტრანსფერებზე ჰკითხეს.

„ჩვენ მაღალი კლასის მცველს აუცილებლად შევიძენთ — თქვა ადრიანო გალიანიმ. კრისტიან კივუ? — არა, ვერ გამოიცანით. კივუ ცენტრალური მცველია და ამ მხრივ პრობლემები არ გვაქვს. გუნდიდან მხოლოდ ისინი წავლენ, ვისაც კონტრაქტის ვადა ამოეწურა. ყველა თავდამსხმელი, რომელთა ძალისხმევითაც ჩემპიონთა თასი მოვიგეთ, „მილანში" დარჩება".

პასუხმა ჟურნალისტების მადა ვერ დააკმაყოფილა და გალიანის შეუჩნდნენ. „კრისტიან აბიატი არ იყიდება — განაგრძო ვიცე-პრეზიდენტმა — ის „მილანში" მანამდე იქნება, სანამ მე ჩემს პოსტზე ვარ. აბიატი პატივცემული კაცია. მას ვერავის დავუთმობთ. პირველ გუნდში 25 ფეხბურთელი გვეყოლება. შეგიძლიათ დაგარწმუნოთ, სერჟინიოს, რუი კოშტას და ანდრეი შევჩენკოს არ გავასხვისებთ".

უკვე ტრადიციად იქცა „მილანსა" და „ინტერს" შორის ფეხბურთელების გაცვლა. ადრიანო გალიანიმ ეს ფაქტიც ახსნა: „პირველ რიგში აღვნიშნავ, რომ ჩვენ თითქმის მსგავსი სახელფასო პოლიტიკა გვაქვს. მეორე — „მილანიდან" „ინტერში" და პირიქით ფეხბურთელების გადასვლის მიზეზი ის გახლავთ, რომ მოთამაშეები აქაურობას ეგუებიან და ქალაქიდან წასვლა აღარ სურთ. ზოგიერთი მათგანი კი საკუთარი ბიზნესითაცაა დაკავებული". მოკლედ, ვიცე-პრეზიდენტმა, როგორც სჩვევია, ყველაფერზე ისაუბრა, მაგრამ საბოლოოდ მედია მაინც უკმაყოფილო დარჩა.

ახლა „მილანის" სამომავლო კალენდარიც ვნახოთ. 17 აგვისტოს ბერლუსკონის თასზე, 23 ან 24 აგვისტოს იტალიის სუპერთასზე „შავ-წითლები" „იუვენტუსს" შეერკინებიან. ევროპის სუპერთასისთვის „მილანი" „პორტუს" შეხვდება, ხოლო საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი 14 დეკემბერს ტოკიოში გაირკვევა.

ადრიანო გალიანის შემდეგ სიტყვა ლაურა მაზიმ თქვა: „ფანტასტიკური სეზონი იყო, არა მხოლოდ საფეხბურთო წარმატებების თვალსაზრისით, კლუბის სალაროც გვარიანად შეივსო. მთლიანობაში ტელევიზიამ „მილანის" ევროპულ მატჩებს 2376 წუთი დაუთმო და ჩვენი გუნდის თამაში მილიარდ 333 მილიონ 409 ათასმა მაყურებელმა ნახა".

ლაურა მაზი მაურიცო ტავოლამ შეცვალა და აქციონერებს საამო ამბავი ამცნო: „ოპელთან" ახალი, სამწლიანი კონტრაქტი გავაფორმეთ. გერმანული ფირმისგან 18 მილიონ ევროს მივიღებთ და აღსანიშნავია, რომ ამ სამი წლის მანძილზე „ოპელი" მხოლოდ „მილანს" დააფინანსებს".

ბოლოს ადრიანო გალიანის სილვიო ბერლუსკონი გაახსენდა: „სანამ „მილანის" პრეზიდენტი სილვიო ბერლუსკონი იქნება, გუნდი ევროპაში თავის სიტყვას ყოველთვის იტყვის".

**მაშა ხუციშვილი**



ადრიანო გალიანიმ „მილანის" ფულები საჯაროდ დაითვალა

## ნორვეგია

### IX ტური

**მიოლდე 3:0 ბრანი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 9 | 8 | 1 | 0 | 23:5 | 25 |
| სტაბეკი | 9 | 5 | 2 | 2 | 14:8 | 17 |
| ვიკინგი | 9 | 4 | 4 | 1 | 17:10 | 16 |
| ბოდიო გლიმტი | 9 | 4 | 3 | 2 | 13:10 | 15 |
| სოგნდალი | 9 | 4 | 2 | 3 | 14:14 | 14 |
| ოდ გრენლანდი | 9 | 4 | 2 | 3 | 15:16 | 14 |
| ბრინი | 9 | 4 | 0 | 5 | 20:14 | 12 |
| ლინი | 9 | 3 | 3 | 3 | 15:17 | 12 |
| მოლდე | 9 | 3 | 2 | 4 | 11:11 | 11 |
| ლილესტრიომი | 9 | 2 | 4 | 3 | 8:14 | 10 |
| ვოლერენგა | 9 | 2 | 3 | 4 | 10:12 | 9 |
| ბრანი | 9 | 1 | 3 | 5 | 7:19 | 6 |
| ალესუნდი | 9 | 0 | 5 | 4 | 12:17 | 5 |
| ტრომსიო | 9 | 1 | 2 | 6 | 14:26 | 5 |

## ფინეთი

### VI ტური

**ჰაკა 5:1 ლაჰტი**

**იოკერიტი 0:1 ტამპერე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალიანსი | 6 | 5 | 1 | 0 | 17:5 | 16 |
| ჰაკა | 6 | 5 | 0 | 1 | 16:4 | 15 |
| ტურკუ | 6 | 4 | 0 | 2 | 11:7 | 12 |
| ტამპერე | 6 | 4 | 0 | 2 | 9:6 | 12 |
| მიუპა | 6 | 3 | 2 | 1 | 10:4 | 11 |
| ჰიკ | 6 | 3 | 2 | 1 | 7:4 | 11 |
| იოკერიტი | 6 | 3 | 1 | 2 | 9:5 | 10 |
| ჯაზი | 6 | 2 | 1 | 3 | 6:12 | 7 |
| კტპ | 6 | 2 | 0 | 4 | 9:11 | 6 |
| იარო | 6 | 1 | 3 | 2 | 7:9 | 6 |
| ჰამენლინა | 6 | 1 | 3 | 2 | 5:9 | 6 |
| ლაჰტი | 6 | 0 | 2 | 4 | 2:10 | 2 |
| ინტერი | 6 | 0 | 2 | 4 | 5:15 | 2 |
| კუოპიო | 6 | 0 | 1 | 5 | 7:19 | 1 |

## ლიხტენშტაინი

### თასის ფინალი

**ვადუცი 6:0 ბლეიზერსი**

## ამხანაგური მატჩები

### ახალგაზრდულები

**ინგლისი 3:2 სერბეთი**

1:0 ამეობი (15), 1:1 პეტროვიჩი (49), 2:1 დეფო (68), 2:2 ს. სტანიჩი (85), 3:2 დ. ბენტი (87)

**ირლანდია 2:2 გერმანია**

1:0 ოფლინი (20), 1:1 აუერი (30), 1:2 ჰილსპერგერი (33), 2:2 ლ. მილერი (86)

## შვედეთი

### IX ტური

**ჰელსინგბორგი 0:4 ენკიოპინგი**

**ელფსბორგი 2:1 გიოტებორგი**

**იოსტერი 0:2 მალმიო**

**აიკ 3:3 იურგორდენი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰამარბი | 9 | 6 | 3 | 0 | 14:6 | 21 |
| აიკ | 9 | 6 | 2 | 1 | 20:9 | 20 |
| იურგორდენი | 9 | 6 | 1 | 2 | 23:6 | 19 |
| იორებრო | 9 | 5 | 1 | 3 | 15:12 | 16 |
| ჰალმსტადი | 9 | 4 | 2 | 3 | 14:12 | 14 |
| ჰელსინგბორგი | 9 | 4 | 2 | 3 | 10:12 | 14 |
| მალმიო | 9 | 3 | 3 | 3 | 13:11 | 12 |
| გიოტებორგი | 9 | 2 | 3 | 4 | 12:11 | 9 |
| სუნდსვალი | 9 | 2 | 3 | 4 | 10:13 | 9 |
| ლანდსკრონა | 9 | 2 | 3 | 4 | 9:13 | 9 |
| ელფსბორგი | 8 | 2 | 3 | 3 | 9:15 | 9 |
| იორგრიტე | 9 | 2 | 2 | 5 | 11:18 | 8 |
| იოსტერი | 8 | 2 | 1 | 5 | 6:14 | 7 |
| ენკოპინგი | 9 | 1 | 1 | 7 | 7:21 | 4 |

## უკრაინა

### უმაღლესი ლიგა

28-ე ტური: დინამო — ტავრია 4:1; შახტარი — მ. ზაპოროჟიე 2:0; კარპატი — მ. დონეცკი 0:0; კრივბასი — მეტალისტი 1:0; ვოლინი — არსენალი 0:1; ვორსკლა — დნიპრო 2:0; ოლიქსანდრია — ილიჩევეცი 1:0; ობოლონი — ჩერნომორეცი 4:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 28 | 21 | 4 | 3 | 61:18 | 67 |
| შახტარი | 28 | 21 | 3 | 4 | 55:21 | 66 |
| არსენალი | 28 | 16 | 8 | 4 | 49:21 | 56 |
| მ. დონეცკი | 28 | 16 | 6 | 6 | 40:26 | 54 |
| დნიპრო | 28 | 16 | 5 | 7 | 40:23 | 53 |
| ვოლინი | 28 | 12 | 5 | 11 | 32:36 | 41 |
| ტავრია | 28 | 9 | 5 | 14 | 32:46 | 32 |
| კარპატი | 28 | 8 | 8 | 12 | 25:34 | 32 |
| კრივბასი | 28 | 8 | 7 | 13 | 23:30 | 31 |
| ჩერნომორეცი | 28 | 9 | 3 | 16 | 25:41 | 30 |
| ვორსკლა | 28 | 8 | 6 | 14 | 23:38 | 30 |
| ილიჩევეცი | 28 | 7 | 9 | 12 | 31:36 | 30 |
| ოლიქსანდრია | 28 | 7 | 9 | 12 | 24:39 | 30 |
| ობოლონი | 28 | 7 | 7 | 14 | 31:40 | 28 |
| მ. ზაპოროჟიე | 28 | 6 | 6 | 16 | 20:39 | 24 |
| მეტალისტი | 28 | 5 | 5 | 18 | 14:38 | 20 |

# პოშმა და ბექჰემმა ჰოლივუდი დაიპყრეს









**ამას წინათ** იყო, „ფრანს ფუტბოლმა“ მსოფლიოს უმდიდრესი ფეხბურთელები რომ დაასახელა, პირველობა დევიდ ბექჰემს დარჩა. ამ ამბავმა კი დიდად ალაშფოთა ფრანგთა ნაკრების კაპიტანი მარსელ დესაი, აქაოდა, ბექჰემი ფეხბურთელი კი არა, შოუმენია და სწორედ შოუ-ბიზნესის ხალხში უნდა ჩაგეწერათო.

კაცმა რომ თქვას, დესაიც მართალია და „ფრანს ფუტბოლიც“, რა ვუყოთ, რომ ბექჰემი ბურთსაც კარგად აგორებს და წვეულებების სასურველი სტუმარიცაა.

ეს შესავალი იმად დაგვჭირდა, რომ კვირას ჰოლივუდში MTV მუვი ავარდსი გაიმართა, რომელზეც დევიდ და ვიქტორია ბექჰემები მთავარი სტუმრები იყვნენ. მუვი ავარდსი კი ჩვენებურად კინოში თავგამოჩენილი ხალხის დაჯილდოებას ნიშნავს.

ტანისამოსისა და ძვირფასეულობის მცოდნე პირებმა უმალ დაიანგარიშეს, რომ ბექჰემის დოლჩე და გაბანას ნახელავი კოსტუმი და ფეხბურთელზე ასხმული ძეწკვ-ბეჭდებ-საყურეები 75 ათას გირვანქაზე ნაკლები არ ეღირებაო, ვიქტორიას გულმოშიშვლებული კაბა კი ბევრად მოკრძალებულ ფასიანი ყოფილა — ოდენ 15 ათასი გირვანქა ღირებულია.

სამუელ ლ. ჯეკსონმა ვარსკვლავწყვილზე თქვა, ბექჰემზე დიდი ფეხბურთელი მსოფლიოში არ მეგულება, ცოლიც პირმშვენიერი ჰყავსო.

ჰარისონ ფორდმა დასძინა, ნახეთ, რა კარგები არიან, ერთმანეთს როგორ უხდებიან და ორივენი როგორი ნიჭიერები არიანო.

თქვენი მონა-მორჩილი გაკადნიერდება და შენიშნავს, რომ სპაის-გოგოებში ვიქტორიაზე უნიჭო არავინ იყო.

განვაგრძოთ. „ვარსკვლავური ომების“ შემქმნელმა ჯორჯ ლუკასმაც ბექჰემს ტალანტი შეუქო, ვიქტორიას კი ოდენ ნაკვთები მოუწონა.

სტივენ კოჯუვარუ ვინაც მოდის სამყაროს გურუ ყოფილა, მარჯვედ შენიშნა, ჭეშმარიტი ჰოლივუდური წყვილი სწორედ ასე უნდა გამოიყურებოდესო. მერე გონებაში ჰოლივუდური წყვილებისთვის გადაუვლია თვალი და უთქვამს — ბენ აფლეკსა და ჯენიფერ ლოპესს მაგონებენო.

დევიდ და ვიქტორია ბექჰემები ოკეანისგაღმელი საუკეთესო მსახიობის (ანუ ევროპელის) დასაჯილდოვებლად მიიწვიეს სცენაზე. ჯილდო ირლანდიელ კოლინ ფარელს ერგო, ვინაც დევიდს ხელი ჩამოართვა, ვიქტორია კი გემრიელად ჩაზასა. დევიდმა ამის გამო მხოლოდ მოკრძალებულად გაიღიმა.

მთელი ეს საკინოო ამბები პოშ-სპაისს ისე მოსწონებია, გადაუწყვეტია, სიმღერა მომბეზრდა, ახლა კინოში უნდა ვცადო ბედიო. ოჯახის მავანმა მეგობარმა კი პრესას ვიქტორიას გულისნადები გაანდო: ვიკამ მითხრა, კეტრინ ზეტა ჯონსმა როგორ იმღერა და ითამაშა „ჩიკაგოში“, ეგრე ხომ მეც შემიძლიაო.

**ქოთე ქექელია**





როცა რონალდინიოს ჯერ კიდევ მოკლე თმა ჰქონდა, სუზანა ვერნერს უყვარობდა

# რა მოხდა 17 ნოემბერს?

## ფერნანდესი რონალდინიოს მამაა ქუდი მოიხადე, ბიჭო!

ამ სეზონში ლუის ფერნანდესის პსჟ ხელმოცარული დარჩა. ჩემპიონთა თასის თუნდაც საკვალიფიკაციო ეტაპს ვინ ჩივის, გუნდმა ინტერტოტოს თასზეც ვერ გააღწია. ფრანგ სპეციალისტს წყალი თებერვალში შეუდგა და მან გაზაფხულზევე იცოდა, რომ მომავალი სეზონიდან ახალი კლუბის ძიება მოუწევდა. პარიზელ ფანებს გასულ უქმეებზე საფრანგეთის თასის მოგების იმედი ჰქონდათ, მაგრამ „ოსერთან“ დამარცხდნენ. ლუის ფერნანდესს ფრანგული „ეკიპი“ შეეხმიანა და მწვრთნელმა განვლილ წარუმატებელ სეზონზე ისაუბრა.

**— თქვენი და პსჟ-ს თანამშრომლობა ისტორიას შავი ფერით შემოსილი ჩაბარდა...**

— რა თქმა უნდა, გულშემატკივრები უკეთესს ელოდნენ. სამწუხაროდ, უარესი მიიღეს. ცხადია, პასუხისმგებლობას არ გავურბივარ და ჩემი კრიტიკოსები მართალნი არიან, რადგან დასახულ მიზანს ვერ მივაღწიეთ. თუმცა ალბათ ვერავინ იტყვის, რომ გუნდს რაიმე დავაკელი. 2001 წელს ინტერტოტოზე წარმატებულად გამოვედით, შარშან კი ჩემპიონთა ლიგაშიც საკმაოდ კარგად ვითამაშეთ.

**— მწვრთნელისა და რონალდინიოს დაძაბულმა ურთიერთობამ გუნდზე უარყოფითად იმოქმედა?**

— შედეგზე პასუხი მოგვეთხოვება, მაგრამ ერთ ამბავს მოგიყვებით, რომელიც შარშან, 17 ნოემბერს მოხდა. პსჟ „ლანსს“ უნდა შეხვედროდა, წინა ღლით კი რონალდინიო ვარჯიშის ნაცვლად სატრფოსთან ერთად ბუნების წიაღში ნებივრობდა. დავიბარე და ვუთხარი: „შვილო, შენ 23-ის ხარ, მე კი 43-ის. წინ ბრწყინვალე კარიერა და მომავალი გელის, მაგრამ მსურს, რომ ჩვენს შორის მამაშვილური ურთიერთობა ჩამოყალიბდეს“. როგორც უნდა დამესაჯა, ყოველივეს მისთვის ვაკეთებდი, არ დაგავიწყდეთ — მსოფლიოს ჩემპიონი რონი პსჟ-ში თამაშობდა. ბევრს რატომღაც ავიწყდება, რამდენი ოფლი დავღვარეთ იმისთვის, რომ რონალდინიოს ნიჭი ბოლომდე გახსნილიყო. სამწუხაროდ, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ მას ვარსკვლავური სენი შეეყარა. აქვე გეტყვით იმასაც, რომ მე კი არა, მისივე თანაკლუბელები მიუთითებდნენ რონალდინიოს, რომ მაგიდასთან ქუდით ჯდომა უზრდელობაა, თუნდაც ცხრაგზის ჩემპიონი იყო.

**— დარწმუნებული ხართ, რომ ბრაზილიელის ნიჭის წარმოსაჩენად ყველაფერი გააკეთეთ?**

— თქვენი აზრით, აბსოლუტური თავისუფლება უნდა მიმეცა და ამპლუაც თვითონვე უნდა შეერჩია? თვით ალექს ფერგიუსონიც გეტყვით — რონალდინიო წმინდა ფორვარდი არაა. იგი თავდამსხმელების ზურგსუკან გაცილებით უკეთ თამაშობს. ბოლოს და ბოლოს, მოედანზე მოქმედების სრული თავისუფლება მივეცი. შედეგი? ინბეთ — მეთერთმეტე ადგილი. კიდევ ერთხელ გიმეორებთ, რონალდინიოს პრობლემების „ავტორი“ მე არ ვარ.

**— მაშ ვინ?**

— თვითონ. ჩემპიონატში მხოლოდ სამი მატჩი ითამაშა საკადრისად და სათასო შეხვედრებშიც არა უშავდა.

**— პსჟ-ში გატარებულმა ორწელიწადნახევარმა მწვრთნელი ლუის ფერნანდესის იმიჯი რამდენად შეარყია?**

— საკმაოდ, მაგრამ სამაგიეროდ, ბევრი რამ ვისწავლე. სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. მომავალში შევეცდები, საკუთარი თავი და ემოციები მაქსიმალურად ვაკონტროლო. არ ვნანობ, რადგან პსჟ-ში ორწელიწადნახევარი მუშაობა ნებისმიერ სხვა კლუბში ექვსწლიან მუშაობას უდრის. ახლა დავისვენებ და უმეტეს დროს ოჯახს დავუთმობ.

## 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

### 7 ივნისი: ბელარუსი – ჰოლანდია

#### ჰოლანდია

*მეკარეები:* ედვინ ვან დერ სარი (ფულემი, ინგლისი), რონალდ ვატერეუსი (პსვ ეინდჰოვენი);

*მცველები:* ფრანკ დე ბური, მიხაელ რაიციგერი (ორივე ბარსელონა, ესპანეთი), ანდრე ოიერი (პსვ ეინდჰოვენი), ფერნანდო რიკსენი (რეინჯერსი, შოტლანდია), იაპ სტამი (ლაციო, იტალია);

*ნახევარმცველები:* მარკ ვან ბომელი (პსვ ეინდჰოვენი), რონალდ დე ბური (რეინჯერსი, შოტლანდია), მარკ ოვერმარსი, ფილიპ კოკუ (ორივე ბარსელონა, ესპანეთი), რაფაელ ვან დერ ვაარტი (აიაქსი), პოლ ბოსველტი (ფეიენოორდი), ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი (არსენალი, ინგლისი), კლარენს ზეედორფი (მილანი, იტალია), ბუდევინ ზენდენი (ჩელსი, ინგლისი);

*თავდამსხმელები:* პატრიკ კლუივერტი (ბარსელონა, ესპანეთი), რუუდ ვან ნისტელროოი (მანჩესტერი, ინგლისი), როი მაკაი (დეპორტივო, ესპანეთი), პიერ ვან ჰოიდონკი (ფეიენოორდი)

### 7 ივნისი: დანია – ნორვეგია

#### დანია

*მეკარეები:* თომას სორენსენი (სანდერლენდი, ინგლისი), პეტერ სკოვიენსენი (მიდტიულანდი);

*მცველები:* კასპერ ბოგელუნდი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია), თომას ჰელვეგი, მარტინ ლაურსენი (ორივე მილანი, იტალია), რენე ჰენრიკსენი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი), ნიკლას იენსენი (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), პერ ნილსენი (ბრონდბიუ);

*ნახევარმცველები:* თომას გრავესენი (ევერტონი, ინგლისი), კლაუს იენსენი (ჩარლტონი, ინგლისი), პეტერ ნილსენი, თომას როლ-ლარსენი (ორივე კოპენჰაგენი), მორტენ ვიდჰორსტი, თომას კალენბერგი (ორივე ბრონდბიუ), თომას შულცი (ფარუმი);

*თავდამსხმელები:* ებე სანდი (შალკე, გერმანია), მარტინ იორგენსენი (უდინეზე, იტალია), იესპერ გრონკიაერი (ჩელსი, ინგლისი), დენის რომედალი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია), კასპერ დალგასი (ბრონდბიუ)

### 11 ივნისი: ჩეხეთი – მოლდოვა

#### ჩეხეთი

*მეკარეები:* იარომირ ბლაჟეკი (სპარტა), პეტრ ჩეხი (რენი, საფრანგეთი);

*მცველები:* რენე ბოლფი (ბანიკი), ტომაშ უიფალუში (ჰამბურგი, გერმანია), ზდენეკ გრიგერა, ტომაშ ჰუბშმანი (ორივე სპარტა), მარეკ იანკულოვსკი (უდინეზე, იტალია), რომან ტისი (მიუნჰენ 1860, გერმანია);

*ნახევარმცველები:* ტომაშ გალაშეკი (აიაქსი, ჰოლანდია), პაველ ნედვედი (იუვენტუსი, იტალია), კარელ პობორსკი (სპარტა), ტომაშ როსიცკი (დორტმუნდი, გერმანია), ვლადიმირ შმიცერი (ლივერპული, ინგლისი);

*თავდამსხმელები:* მილან ბაროში (ლივერპული, ინგლისი), იან კოლერი (დორტმუნდი, გერმანია), ვრატისლავ ლოკვენცი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), ირჟი სტაინერი (ჰანოვერი, გერმანია)

რეკლამა
სარბიელ–ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80


REUTERS

რივერელმა მათიას ლეკიმ და ბოკელმა პაბლო ხერესმა კლასიკოს რომ ეკადრება ისე იძიძგილავეს...

# ხელს კი ველესი ითბობს

## არგენტინა

### კლაუსურა

**მე-14 ტური: რასინგი — ესტუდიანტესი 1:1; როსარიო — ინდეპენდიენტე 2:0; სან ლორენსო — ჩაკარიტა 1:0; ლანუსი — კოლონი 4:3; ხიმნასია — ველესი 0:1; ოლიმპო — ოლდ ბოიზი 1:0; ნუევა ჩიკაგო — ტალიერესი 3:1; უნიონი — არსენალი 0:3; ბანფილდი — ურაკანი 0:1; ბოკა ხუნიორსი — რივერ პლეიტი 2:2**

„ბოკა ხუნიორსი“ და „რივერ პლეიტი“ ერთმანეთს შეეტაკნენ ბაირესულ კლასიკოში, ამით კი ისარგებლა „ველეს სარსფილდმა“ და კლაუსურას პირველ ადგილზე მომაგრდა.

კლასიკოს მასპინძელი ამჯერად ბოკას „ბომბონიერა“ იყო, მაგრამ საქმე ისე დატრიალდა, რომ „რივერი“ ორი ბურთით იგებდა, „ბოკამ“ კი ანგარიში გაუქვითა — მას შემდეგ, რაც „რივერს“ ორი კაცი გაუძევეს.

ბოლო კვირაა, „რივერს“ ხასიათი აჭრილი აქვს: ლიბერტადორესის თასიდანაც გამოვარდა „ამერიკა კალისთან“ 1:4 წაგებული მატჩის შემდეგ. იმ თამაშში კი სამი კაცი გაუძევეს. ახლა კი ისე გამოვიდა, რომ ამას დაემატა „ბოკასთან“ ორი მოთამაშის გაძევება, რაც ჯამში სწორედ იმაზე მეტყველებს, რომ „რივერი“ ფსიქოლოგიურ ამბავში მისახედია, მით უმეტეს, რომ სანამ აირევა, გუნდი მშვენიერ ფეხბურთს თამაშობს.

„ბოკასთან“ თამაშშიაც ასე იყო: ანდრეს დალესანდრომ უკვე მეცხრე წუთზე გახსნა ანგარიში. ამ გოლიდან ნახევარ საათში ბოკელებმა თავის საჯარიმოში ედუარდო კუდეტი წააქციეს და ფერნანდო კავენაგიმ პენალტით გაიტანა. ამ პენალტამდე „რივერს“ უკვე გაუძევეს მარტინ დემიკელისი, რომელმაც მეორე ყვითელი დროის გაყვანისთვის მიიღო.

ბოკელთაგან კი გმირი იყო ამჟამინდელ ლურჯ-ყვითელთა თილისმა გილერმო ბაროს შელოტო, რომელმაც ორი ბურთი შეუგდო სტუმართა მეკარე ფრანკო კოსტანსოს. შელოტომ მკერდზე მიიღო ბურთი და კარში გაუშვა. ეს 64-ე წუთზე მოხდა, 7 წუთში კი შელოტომ მეორე გაიტანა. „რივერი“ ბოლო წუთებზე წაგებას გადაურჩა — სწორედ იმ დროს გაუძევეს კლაუდიო უსაინი, რომელიც ლიბერტადორესის თასის მატჩშიც გააძევეს.

ამ ფრემ „ბოკა“ 32 ქულით მეორე ადგილზე დატოვა, „რივერი“ 31-ით მესამეზე, ამასობაში კი „ველესმა“ 2 ქულით გადაუსწრო „ბოკას“, რადგან რობერტო ნანის კლაუსურაში მე-12 გოლით ლაპლატელი გიმნაზიელები დაამარცხა.

ამ თამაშის მეორე ტაიმში ორივე გუნდმა გააფუჭა პენალტი: ლაპლატელ გილერმო სანგინეტის მეკარე გასტონ სოსამ აუღო, ნანიმ კი კარს ააცილა.

აპერტურას ჩემპიონ და კლაუსურაში ჩავარდნილ „ინდეპენდიენტეს“ მწვრთნელი შეეცვალა — ამერიკო გალიეგოს ნაცვლად მივიდა ლეგენდარული ოსკარ რუჯერი, სხვანაირად კაბესონი (თავდიდა), თუმცაღა მისი დებიუტი უიღბლო გამოდგა და წითლებმა „როსარიოსთან“ წააგეს.

### ონორიო ბუსტოს დომექი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ველესი | 14 | 11 | 1 | 2 | 24:7 | 34 |
| ბოკა ხუნიორსი | 14 | 10 | 2 | 2 | 24:10 | 32 |
| რივერ პლეიტი | 14 | 9 | 4 | 1 | 29:12 | 31 |
| როსარიო | 14 | 7 | 5 | 2 | 26:16 | 26 |
| ნუევა ჩიკაგო | 14 | 6 | 4 | 4 | 25:21 | 22 |
| ოლიმპო | 14 | 6 | 3 | 5 | 19:15 | 21 |
| ლანუსი | 14 | 6 | 2 | 6 | 20:22 | 20 |
| რასინგი | 14 | 5 | 4 | 5 | 17:16 | 19 |
| ხიმნასია | 14 | 5 | 4 | 5 | 18:21 | 19 |
| სან ლორენსო | 14 | 5 | 4 | 5 | 18:21 | 19 |
| უნიონი | 14 | 4 | 5 | 5 | 17:16 | 17 |
| ესტუდიანტესი | 14 | 4 | 5 | 5 | 16:17 | 17 |
| ოლდ ბოიზი | 14 | 4 | 5 | 5 | 18:21 | 17 |
| კოლონი | 14 | 3 | 7 | 4 | 12:13 | 16 |
| არსენალი | 14 | 3 | 7 | 4 | 8:9 | 16 |
| ინდეპენდიენტე | 14 | 3 | 5 | 6 | 11:20 | 14 |
| ტალიერესი | 14 | 3 | 4 | 7 | 14:21 | 13 |
| ბანფილდი | 14 | 3 | 3 | 8 | 13:20 | 12 |
| ჩაკარიტა | 14 | 2 | 3 | 9 | 8:18 | 9 |
| ურაკანი | 14 | 1 | 3 | 10 | 11:32 | 6 |


REUTERS

...მატჩის გმირი კი „ბოკას“ კაპიტანი გილერმო ბაროს შელოტო შეიქნა, ვინც დუბლი მიითვლა

# მედელინის აჩრდილი

## ბრაზილია

**მე-11 ტური: ფლუმინენსე — ატლ. პარანენსე 2:1; კრუზეირო — კრისიუმა 2:0; კურიტიბა — გუარანი 3:2; პონტე პრეტა — სან კაეტანო 0:0; ინტერნასიონალი — პაისანდუ 2:1; პარანა — ფლამენგო 6:2; ბაია — გოიასი 2:1; სანტოსი — სან პაულუ 3:2; ფიგეირენსე — გრემიო 2:1; ფორტალეზა — ჟუვენტუდე 3:1; კორინთიანსი — ვიტორია 4:0; ვასკუ და გამა — ატლ. მინეირო 2:2**

**ᲑᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ** საერთობრაზილიური ჩემპიონატი, ქვეყნის ყველაზე პოპულარული კლუბი „ფლამენგო“ კი კვლავ აგებს და კვლავ სამარცხვინოდ, ამ ჯერზე „მენგო“ „პარანამ“ დაამარცხა, 6:2. წინა ტურში რიოელ დიდებს ასევე პარანელებმა, „ატლეტიკო პარანაენსემ“ მოუთავა ხელი, 4:1. საერთოდ კი, პარანას შტატის ეს ქალაქი, კურიტიბა, სადაც მესამე ცნობილი კლუბი „კურიტიბაც“ ჰყავთ, „ფლამენგოსთვის“ კოშმარად იქცა. „პარანასთან“ მარცხმა „მენგო“ მე-16 ადგილზე მიაგდო, პარანელთა ახალ მწვრთნელს ადელსონ ბატისტას კი ბრწყინვალე დებიუტი გამოუვიდა.

საკვირველი კი ის იყო, რომ ამ თამაშში ანგარიში მენგოელმა ფაბიანუ ელერმა გახსნა, მაგრამ პირველი ტაიმის ბოლომდე მასპინძლებმა გახწრება შეძლეს კრისტიან ავალუშისა და აყეუს გოლებით. მეორე ტაიმის პირველ თექვსმეტ წუთში ფლავიო ჟილერმემ და მარკინიოსმა (ორი) თამაშის ბედი გადაწყვიტეს და 77-ე წუთზე პაულუ მირანდას არაფრისშემცვლელ საპასუხოს მსაჯის მერე დამატებულ დროში კაიოს მეექვსე გოლი მიჰყვა. ამ მოგებით „პარანა“ მეხუთე ადგილზე აძვრა და წამოეწია „კორინთიანსს“, რომელმაც ლიედსონის ოთხი გოლით, მშრალად მოუგო „ვიტორიას“.

შავი დღეები უგრძელდება „გრემიოს“. „პორტუ ალეგრის ნაგიჟრები“ კვლავ იმ მარცხის შთაბეჭდილების ქვეშ არიან, ლიბერტადორესის თასზე რომ განიცადეს მედელინის „ინდეპენდიენტესთან“. ლიბერტადორესის თასი „გრემიოს“ ერთადერთი იმედი იყო ამ ჩავარდნილ სეზონში, რომელშიაც გუნდი ბოლო ხუთეულში ტრიალებს. ფლორიანოპოლისში „გრემიომ“ იქაურ „ფიგეირენსესთან“ წააგო 1:2 და თანაც თამაშის ბოლოსკენ უკვე ცხრა კაცით იბრძოლა. 38 წლის ფიგეირელმა ევაირმა თავისი მეასე გოლი გაიტანა ბრაზილიის ჩემპიონატებში და დანანებით თქვა, ხუთ წელიწადს უცხოეთში ვთამაშობდი, თორემ უკვე ასორმოცდაათიც მექნებოდა გატანილიო.

„გრემიოს“ მწვრთნელმა ტიტემ კი ამოიოხრა: „ჩემებმა მედელინი აქ ჩამოიტანეს. რა უნდა ვქნა?“ აქვე კი მოგახსენებთ, რომ ტიტე წყალში გადასაგდები კაცი სულაც არ არის. იმის მიუხედავად, რომ „სან პაულუ“ მეშვიდე ადგილზეა, მწვრთნელი მაინც მოხსნეს და მის ადგილს სწორედ ტიტეს სთავაზობენ. „სან პაულუმ“ ამ ტურშიც წააგო უმცროს მეზობელ „სანტოსთან“ 2:3. „სანტოსის“ „ვილა ბელმორაზე“ თამაშს მხოლოდ 13 ათასი კაცი დაესწრო, არადა, ეს იყო ტურის საუკეთესო მატჩი. „სანტოსი“ ორჯერ იგებდა. „სან პაულუ“ ორჯერ წამოეწია და ბოლოს რენატომ მაინც მასპინძელ „თევზებს“ მოაგებინა.


კორინთიანსელმა ლიედსონმა ამ ტურში ოთხი გოლი გაიტანა

„სანტოსი“ მესამეა ცხრილში, პირველმა და მეორემ, „კრუზეირომ“ და „ინტერნასიონალმა“ ასევე მოიგეს თავიანთი თამაშები.

### ლუზაუ დუ მოზკაუ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრუზეირო | 11 | 7 | 3 | 1 | 29:14 | 24 |
| ინტერნასიონალი | 11 | 6 | 2 | 3 | 16:13 | 22 |
| სანტოსი | 11 | 6 | 3 | 2 | 20:11 | 21 |
| კორინთიანსი | 11 | 5 | 4 | 2 | 26:14 | 19 |
| პარანა | 11 | 5 | 3 | 3 | 22:15 | 18 |
| ატლ. მინეირო | 11 | 5 | 3 | 3 | 21:15 | 18 |
| სან პაულუ | 11 | 5 | 3 | 3 | 24:22 | 18 |
| კურიტიბა | 11 | 5 | 2 | 4 | 17:15 | 17 |
| ფლუმინენსე | 11 | 4 | 4 | 3 | 13:14 | 16 |
| გუარანი | 11 | 4 | 3 | 4 | 19:16 | 15 |
| ვიტორია | 11 | 4 | 3 | 4 | 13:18 | 15 |
| სან კაეტანო | 11 | 3 | 6 | 2 | 13:12 | 15 |
| ატლ. პარანენსე | 11 | 4 | 2 | 5 | 19:18 | 14 |
| ბაია | 11 | 4 | 2 | 5 | 14:16 | 14 |
| ვასკუ და გამა | 11 | 3 | 5 | 3 | 18:19 | 14 |
| ფლამენგო | 11 | 3 | 5 | 3 | 16:20 | 14 |
| ფიგეირენსე | 11 | 3 | 4 | 4 | 13:15 | 13 |
| ფორტალეზა | 11 | 3 | 3 | 5 | 11:16 | 12 |
| კრისიუმა | 11 | 3 | 3 | 5 | 13:19 | 12 |
| გრემიო | 11 | 3 | 2 | 1 | 12:15 | 11 |
| ჟუვენტუდე | 11 | 1 | 4 | 6 | 9:25 | 10 |
| პონტე პრეტა | 11 | 3 | 5 | 3 | 13:15 | 10 |
| პაისანდუ | 11 | 2 | 3 | 6 | 19:28 | 9 |
| გოიასი | 11 | 1 | 3 | 7 | 19:24 | 6 |

*„ინტერნასიონალს“ მომატებული აქვს 2 ქულა, „ჟუვენტუდეს“ — 3 ქულა, „პონტე პრეტას“ დაკლებული აქვს 4 ქულა*


**ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲐ**

**„ᲚᲘᲒᲐ“**

დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე

ᲡᲔᲥᲡᲝᲞᲐᲗᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲐ

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
  პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

**ᲐᲜᲝᲜᲘᲛᲣᲠᲝᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ ᲢᲔᲚ: 32 21 21**

ᲕᲐᲥᲪᲘᲜᲐᲪᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის“ ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
  წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა“
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15



# ბავშვის ავტორი ცნობილია, სქესი — უცნობი

57 წლის „კაიზერ ფრანცი“ ყველაფერს ასწრებს. მიუნხენის „ბაიერნის“ საქმეებსაც აგვარებს, მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტსაც მეთაურობს, პარალელურად კი გერმანელებს ამრავლებს.

60-ს მიტანებული კაცი დაახლოებით ერთი წლის წინ ცოლს, სიბილს, 12-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ გაშორდა. საქმე ისაა, რომ მიუნხენის „ბაიერნის“ ოფისში ახალი მდივანი, ჰაიდი ბურმესტრი მივიდა და „კაიზერ ფრანცს“ ქალი გულში ჩაუვარდა. 2000 წელს მდივანმა ბიჭი, ჯოელ მაქსიმილიანი აჩუქა. ბეკენბაუერი ოჯახს მოსწყდა და ჰაიდის შეერწყა. თავიდან ფრანც ბეკენბაუერმა ჯოელის მამობა კი იუარა, მაგრამ ექიმებმა ტესტმონაცემები ცხვირწინ დაულაგეს და მოაკეტინეს.

ამჟამად ჰაიდი ბურმესტრი ფეხმძიმედაა. ასე რომ, 57 წლის მამა მორიგ შვილს ელის. „რა მნიშვნელობა აქვს, ბიჭი იქნება თუ გოგო — თქვა მამამ — თუმცა ჯოელს პატარა დაიკო ალბათ ძალიან გაახარებს. ვფიქრობ, რომ კაცს შვილები აუცილებლად უნდა ჰყავდეს. მე ოთხი ვაჟი უკვე მყავს (სამი ჰაიდიმდე ორ სხვადასხვა ცოლთან მოსწრო) და ახლა მეხუთე შვილს ველოდები. ეს ხომ გადასარევია. ამ ასაკში შექმნა რომ შემიძლია, ჩემი მამაკაცური ღირსების ღირსებაზე მეტყველებს“.

**გაგა ხუციშვილი**

# ვირი არ ვარ, მაგრამ ვყროყინებ
## გამოიცან, ვინ არის ჰიონესი



ული ჰიონესი — ბევრ გერმანელს მისი ძაგება უყვარს, რადგან ულის გრძელი ენა აქვს.

მიუნხენის „ბაიერნის“ კომერციულმა დირექტორმა სამი წლის წინ გერმანიის ეროვნულ ნაკრების მწვრთნელად დანიშნულ კრისტოფ დაუმი ბეჭებზე გააკრა, როცა საქვეყნოდ დაადანაშაულა ნარკოტიკების ხმარებაში. „ბაიერნის“ ფეხბურთელებზე თქვა, თავკერძებმა წაგებულ მატჩის შემდეგ ხამანწკებით იქეიფესო და კიდევ, რამდენიმე რამ.

ენამოტარტალე მენეჯერმა იცის, რომ ის მთლეს გერმანიაში არ უყვართ თავისი უხეში და უტიფარი ლაპარაკის გამო, მაგრამ ახლახან „ბილდს“ განუცხადა: „მსურს დაგენიძლავოთ, რომ ჩემი უახლოესი გარემოცვიდან — ფეხბურთელები, თანამშრომლები და მეგობრები — ვერ იპოვით ისეთ ხუთ ადამიანს, რომელიც იტყვის, ჰიონესი ვირიაო“.

ჰიონესი შესაძლოა, გერმანიაში ყველაზე წარმატებული საფეხბურთო მოხელე იყოს. ის ოცი წელიწადია, რაც „ბაიერნში“ ჩინოვნიკად მუშაობს და ამ ხნის განმავლობაში კლუბს ელიტაში დამკვიდრებაში დაეხმარა.

„ბაიერნი“ 18-ჯერ გახდა გერმანიის ჩემპიონი და ჰიონესი აქედან 13 ტრიუმფის მონაწილეა, მათ შორის, როგორც ფეხბურთელიც.

გარდა ამისა, ჰიონისე ყველაზე პოლემიკური ოფიციალური პირია საფეხბურთო სამყაროში, რომლის კომენტარები მეტოქესა და გულშემატკივრებს ნუსხავს.

„სადაც არ უნდა ვიყო, ჩემ აზრს ყველას ვეუბნები. ეს ეხება ყველას — ფრანც ბეკენბაუერიდან დაწყებული გერმანიის კანცლერითა თუ ბავარიის მხარის პრემიერით დამთავრებული. უკვე 30 წელიწადია, რაც ამის უფლება მოვიპოვე“ — განმარტავს ჰიონესი.

დაუმთან დაკავშირებით დატრიალებულ აურზაურზე კი ული ამბობს: „მაშინაც ვიცოდი, რომ მართალი არ ვიყავი. ახლა ხანდახან დავფიქრდები ხოლმე, რა მოხდებოდა დაუმის ანალიზს დადებითი პასუხი რომ არ მიეცა კოკაინზე? ის ნაკრების მწვრთნელი გახდებოდა, მე კი ალბათ „ბაიერნის“ მენეჯერი აღარ ვიქნებოდი“.

ჰიონისი კიდევ ერთ შეცდომას აღიარებს, რისთვისაც ბოდიშის მოხდაც აიძულეს. წინა სეზონში „ბაიერნი“ „ზანკტ პაულთან“ მატჩში ჩაფლავდა და გაწიწმატებულმა მენეჯერმა წამოაყრანტალა: „მოთამაშეებს არ ესმით, რომ ფეხბურთი ისეთი სამუშაოა, რითაც მთელი დროით უნდა იყო დაკავებული. უხეიროდ ნათამაშევი მატჩიდან ერთი საათში კი მათ ბანქო ითამაშეს და მერე ხამანწკების საჭმელად გაშლიგინდნენ, როცა მე სახლში წავედი და მათ შემხედვარეს ფაღარათი დამემართა, რის გამოც მთელი ღამე ვერ დავიძინე“.

რამდენიმე თვის წინ ულიმ ჟურნალ „ბუნტეს“ ფურცლებიდან ეფენბერგის გელფრენდი კლაუდია შტრუნცი გააკრიტიკა — მაგ ტუტრუცანამ მეუღლე შტეფანი როგორ მიატოვაო.

ჰიონესის ბოლო სამიზნე კი ლოთარ მათეუსია, რომელმაც „ბაიერნი“ დაადანაშაულა, ჩემი საბენეფისო მატჩიდან მიღებული შემოსავლის ნაწილი მიითვისაო. „ლოთარი ყოველთვის ოსტატურად აღებს თავის დიდ, მსუქან პირს, სადაც კი წავიდა“ — ასე შეამკო ბელგრადის „პარტიზანის“ დამრიგებელი „ბაიერნის“ კომერციულმა მენეჯერმა.

მანამდე კი ჰიონესმა მათეუსს, მაშინ გაჰკრა კბილი, როცა 1999 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალში „მანჩესტერის“ წინააღმდეგ ლოთარმა ბოლო წუთებზე შეცვლა მოითხოვა — „ნამდვილი მხდალი“ — მაშინ ეს აკმარა ულიმ მათეუსს.

**დავით თავართქილაძე**

CHAMPIONS LEAGUE

# ყველა ოთხის გარდა

*ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში სეზონი უკვე დამთავრდა. ესპანეთში, უკრაინაში, დანიასა და ლუქსემბურგში კი ჩემპიონატები ბოლო ტურებს ითვლიან. ერთი სიტყვით, უკვე ახლავე შეგვიძლია თითქმის ყველა გუნდის ჩამოთვლა, რომლებიც მომდევნო სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ან მის საკვალიფიკაციო ეტაპებზე ითამაშებენ.*

*ბოლოს კი დავძინოთ, რომ 29 აგვისტოს მონაკოში „მილანი“ და „პორტუ“ ევროპის სუპერთასს გაითამაშებენ, მატჩს კი ლიგის ძირითადი ბადის წილისყრა წაემძღვარება*

## ჩემპიონთა ლიგა (16 გუნდი)

მილანი (იტალია)
იუვენტუსი (იტალია)
ინტერი (იტალია)
მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი)
არსენალი (ინგლისი)
ბაიერნი (გერმანია)
შტუტგარტი (გერმანია)
ლიონი (საფრანგეთი)
მონაკო (საფრანგეთი)
*ამათგან ორი:* რეალი, დეპორტივო, სოსიედადი (სამივე ესპანეთი)
ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)
პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია)
ბეშიქთაში (თურქეთი)
პორტუ (პორტუგალია)
კენჭისყრა: 29.08.03

## მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი (18 გუნდი)

| | |
|---|---|
| ლაციო (იტალია) | გალათასარაი (თურქეთი) |
| ნიუკასლ იუნაიტედი (ინგლისი) | ბენფიკა (პორტუგალია) |
| ჩელსი (ინგლისი) | ლოკომოტივი (რუსეთი) |
| *მესამე და მეოთხე ესპანური გუნდი* | სპარტა (ჩეხეთი) |
| დორტმუნდი (გერმანია) | რეინჯერსი (შოტლანდია) |
| მარსელი (საფრანგეთი) | *უკრაინის ჩემპიონი* |
| აეკ (საბერძნეთი) | ბრიუგე (ბელგია) |
| აიაქსი (ჰოლანდია) | აუსტრია (ავსტრია) |
| | გრასჰოპერი (შვეიცარია) |

კენჭისყრა: 25.07.03; პირველი მატჩები – 12-13.08, საპასუხოები – 26-27.08

## მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი (17 გუნდი)

| | |
|---|---|
| ცსკა (რუსეთი) | დინამო (ხორვატია) |
| სლავია (ჩეხეთი) | ვისლა (პოლონეთი) |
| სელტიკი (შოტლანდია) | *დანიის ჩემპიონი* |
| *მეორე უკრაინული გუნდი* | იურგორდენი (შვედეთი) |
| ანდერლეხტი (ბელგია) | პარტიზანი (სერბეთი და ჩერნოგორია) |
| გრაცერი (ავსტრია) | ზილინა (სლოვაკეთი) |
| რუსენბორგი (ნორვეგია) | ცსკა (ბულგარეთი) |
| მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) | რაპიდი (რუმინეთი) |
| | მტკ (უნგრეთი) |

კენჭისყრა: 20.06.03; პირველი მატჩები – 30.07.03, საპასუხოები – 06.08.03

## პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი (22 გუნდი)

| | |
|---|---|
| მარიბორი (სლოვენია) | სლიმა (მალტა) |
| ომონია (კვიპროსი) | ბარი თაუნი (უელსი) |
| ჰიკ (ფინეთი) | ფლორა (ესტონეთი) |
| სკონტო (ლატვია) | ლეოტარი (ბოსნია) |
| დინამო (საქართველო) | პიუნიკი (სომხეთი) |
| შერიფი (მოლდოვა) | გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია) |
| რეიკიავიკი (ისლანდია) | ტირანა (ალბანეთი) |
| ბატე (ბელარუსი) | ტორსჰავნი (ფარერები) |
| კაუნასი (ლიტვა) | შამქირი (აზერბაიჯანი) |
| ბოჰემიანსი (ირლანდია) | *ლუქსემბურგის ჩემპიონი* |
| ვარდარი (მაკედონია) | ირტიში (ყაზახეთი) |

კენჭისყრა: 20.06.03; პირველი მატჩები – 16.07.03, საპასუხოები – 23.07.03

***შენიშვნა:*** *აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაცია ამჟამად უეფადან მოკვეთილია*



# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ბელგია. II დივიზიონი. პლეი ოფი** | | | | | | |
| | | **5 ივნისი** | | | | | | |
| 22.00 | 051 | ლენდერლეუ-ეუპენი | 2,4 | 3,2 | 2,2 | 1,37 | 1,14 | 1,3 |
| 22.00 | 052 | ვარეგემი-ჰეუსდენი | 2,4 | 3,0 | 2,5 | 1,33 | 1,22 | 1,36 |
| | | **შვედეთი. თასი. 1/8 ფინალი** | | | | | | |
| | | **4 ივნისი** | | | | | | |
| 22.00 | 065 | სუნდსვალი-ჰამარბი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| | | **5 ივნისი** | | | | | | |
| 21.30 | 066 | ენკიოპინგი-ჰალმსტადი | 4,0 | 3,3 | 1,8 | 1,8 | 1,24 | 1,16 |
| | | **ევრო 2004. შესარჩევი მატჩები** | | | | | | |
| | | **7 ივნისი.** | | | | | | |
| 19.00 | 067 | შოტლანდია-გერმანია | 4,0 | 3,2 | 1,85 | 1,77 | 1,26 | 1,17 |
| 19.00 | 068 | ირლანდია-ალბანეთი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 069 | ირლანდია-ალბანეთი 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 21.00 | 070 | ისლანდია-ფარერის კუნძულები | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 071 | ისლანდია-ფარერის კუნძულები 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 21.00 | 072 | მოლდოვეთი-ავსტრია | 4,6 | 3,4 | 1,7 | 1,95 | 1,24 | 1,13 |
| 21.00 | 073 | უკრაინა-სომხეთი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 074 | უკრაინა-სომხეთი 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| 21.00 | 075 | ბულგარეთი-ბელგია | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| 21.00 | 076 | ესტონეთი-ანდორა | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | 077 | ესტონეთი-ანდორა 0:1 | 1,35 | 4,2 | 4,2 | | | |
| 21.00 | 078 | ფინეთი-სერბეთი | 2,8 | 3,2 | 2,35 | 1,49 | 1,27 | 1,35 |
| 22.00 | 079 | მალტა-კვიპროსი | 5,6 | 3,6 | 1,55 | 2,19 | 1,21 | 1,08 |
| 22.00 | 080 | რუმინეთი-ბოსნია | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 081 | რუმინეთი-ბოსნია 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| 22.15 | 082 | დანია-ნორვეგია | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 23.00 | 083 | ბელარუსი-ჰოლანდია | 9,0 | 4,6 | 1,3 | 3,04 | 1,13 | 1,01 |
| | 084 | ბელარუსი-ჰოლანდია 1:0 | 3,0 | 3,6 | 1,65 | | | |
| 23.00 | 085 | სან მარინო-შვედეთი | 25,0 | 9,0 | 1,05 | 6,61 | 1 | 1 |
| | 086 | სან მარინო-შვედეთი 2:0 | 2,0 | 4,6 | 1,8 | | | |
| 23.00 | 087 | მაკედონია-ლიხტენშტაინი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | 088 | მაკედონია-ლიხტენშტაინი 0:1 | 1,35 | 4,2 | 4,2 | | | |
| 23.15 | 089 | სლოვაკეთი-თურქეთი | 3,6 | 3,2 | 1,95 | 1,69 | 1,26 | 1,21 |
| 23.15 | 090 | შვეიცარია-რუსეთი | 2,15 | 3,1 | 3,3 | 1,26 | 1,3 | 1,59 |
| 23.15 | 091 | უნგრეთი-ლატვია | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 23.15 | 092 | ისრაელი-სლოვენია | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 00.45 | 093 | ესპანეთი-საბერძნეთი | 1,35 | 4,0 | 9,0 | 1 | 1,17 | 2,76 |
| | 094 | ესპანეთი-საბერძნეთი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| | | **ეჩ შესარჩევი მატჩები (21 წლამდე)** | | | | | | |
| | | **6 ივნისი.** | | | | | | |
| 19.00 | 095 | ისრაელი(21)-სლოვენია(21) | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 19.00 | 096 | უკრაინა(21)-სომხეთი(21) | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| 20.00 | 097 | რუმინეთი(21)-ბოსნია(21) | 1,65 | 3,4 | 4,0 | 1,11 | 1,16 | 1,83 |
| 20.00 | 098 | ბელარუსი(21)-ჰოლანდია(21) | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 20.00 | 099 | ბულგარეთი(21)-ბელგია(21) | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 20.30 | 100 | უნგრეთი(21)-ლატვია(21) | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 20.30 | 101 | სლოვაკეთი(21)-თურქეთი(21) | 3,2 | 3,2 | 2,15 | 1,6 | 1,28 | 1,28 |
| 21.00 | 102 | მაკედონია(21)-პორტუგალია(21) | 8,0 | 4,2 | 1,35 | 2,75 | 1,15 | 1,02 |
| 21.00 | 103 | ფინეთი(21)-სერბეთი(21) | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 21.15 | 104 | მალტა(21)-კვიპროსი(21) | 5,3 | 3,8 | 1,55 | 2,21 | 1,19 | 1,1 |
| 21.30 | 105 | დანია(21)-ნორვეგია(21) | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 22.00 | 106 | შვეიცარია(21)-რუსეთი(21) | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 23.00 | 107 | ესპანეთი(21)-საბერძნეთი(21) | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 23.30 | 108 | სან მარინო(21)-შვედეთი(21) | 20,0 | 10,0 | 1,05 | 6,66 | 1 | 1 |
| 23.30 | 109 | ირლანდია(21)-ალბანეთი(21) | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 24.00 | 110 | შოტლანდია(21)-გერმანია(21) | 3,1 | 3,2 | 2,2 | 1,57 | 1,28 | 1,3 |
| | | **7 ივნისი** | | | | | | |
| 15.00 | 111 | მოლდოვა(21)ავსტრია(21) | 4,2 | 3,4 | 1,75 | 1,87 | 1,23 | 1,15 |
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | | **6 ივნისი** | | | | | | |
| 23.00 | 116 | პოლონეთი-ყაზახეთი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | 117 | პოლონეთი-ყაზახეთი 0:1 | 1,4 | 3,8 | 4,2 | | | |
| 01.15 | 118 | პორტუგალია-პარაგვაი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | 119 | პორტუგალია-პარაგვაი 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| | | **7 ივნისი** | | | | | | |
| 03.05. | 120 | ვენესუელა-ჰონდურასი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| | | **8 ივნისი** | | | | | | |
| 15.00 | 121 | სამხრეთ კორეა-ურუგვაი | 2,4 | 3,1 | 2,8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |
| 15.15 | 122 | იაპონია-არგენტინა | 4,0 | 3,1 | 1,9 | 1,74 | 1,28 | 1,17 |
| 22.00 | 123 | აშშ-ახალი ზელანდია | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 124 | აშშ-ახალი-ზელანდია 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 22.00 | 125 | კოლუმბია-ეკვადორი | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| | | **ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. I მატჩები** | | | | | | |
| | | **4 ივნისი** | | | | | | |
| 05.40 | 126 | სანტოსი-ინდეპენდიენტე | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| | | **კალათბურთი. NBA** | | | | | | |
| | | **4 ივნისი** | | | | | | |
| 05.30 | 604 | სან ანტონიო-ნიუ ჯერსი | 1,25 | 12,0 | 3,1 | 1,13 | 1 | 2,46 |
| | | **კალათბურთი. საბერძნეთი** | | | | | | |
| | | **4 ივნისი** | | | | | | |
| 20.00 | 621 | ოლიმპიაკოსი-აეკ | 1,5 | 12,0 | 2,2 | 1,33 | 1 | 1,85 |
| 20.00 | 622 | პერისტერი-პანათინაიკოსი | 2,6 | 12,0 | 1,35 | 2,13 | 1 | 1,21 |

## კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | **7 ივნისი** | | |
| 19.00 | 2301 | შოტლანდია-გერმანია | 1,7 | 1,9 |
| 21.00 | 2302 | ბულგარეთი-ბელგია | 1,7 | 1,9 |
| 21.00 | 2303 | ფინეთი-სერბეთი | 1,7 | 1,9 |
| 22.15 | 2304 | დანია-ნორვეგია | 1,7 | 1,9 |
| 23.15 | 2305 | სლოვაკეთი-თურქეთი | 1,7 | 1,9 |
| 23.15 | 2306 | შვეიცარია-რუსეთი | 1,65 | 1,95 |
| 23.15 | 2307 | ისრაელი-სლოვენია | 1,7 | 1,9 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | **7 ივნისი** | | | |
| 19.00 | 2501 | შოტლანდია-გერმანია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 2502 | ბულგარეთი-ბელგია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 2503 | ფინეთი-სერბეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 22.15 | 2504 | დანია-ნორვეგია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.15 | 2505 | სლოვაკეთი-თურქეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.15 | 2506 | შვეიცარია-რუსეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.15 | 2507 | ისრაელი-სლოვენია | 3,0 | 2,8 | 2,0 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **7 ივნისი** | | |
| 19.00 | 2201 | შოტლანდია-გერმანია | 1,8 | 1,8 |
| 21.00 | 2202 | ბულგარეთი-ბელგია | 1,9 | 1,7 |
| 21.00 | 2203 | ფინეთი-სერბეთი | 1,9 | 1,7 |
| 22.15 | 2204 | დანია-ნორვეგია | 1,8 | 1,8 |
| 23.15 | 2205 | სლოვაკეთი-თურქეთი | 1,85 | 1,75 |
| 23.15 | 2206 | შვეიცარია-რუსეთი | 1,9 | 1,7 |
| 23.15 | 2207 | ისრაელი-სლოვენია | 1,85 | 1,75 |

### I ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **7 ივნისი** | | | | | | |
| 19.00 | 2001 | შოტლანდია-გერმანია | 4,4 | 2,25 | 2,2 | 1,48 | 1,46 | 1,11 |
| 21.00 | 2002 | ბულგარეთი-ბელგია | 2,35 | 2,15 | 4,2 | 1,12 | 1,5 | 1,42 |
| 21.00 | 2003 | ფინეთი-სერბეთი | 3,3 | 2,1 | 2,9 | 1,28 | 1,54 | 1,21 |
| 22.15 | 2004 | დანია-ნორვეგია | 2,3 | 2,15 | 4,4 | 1,11 | 1,51 | 1,44 |
| 23.15 | 2005 | სლოვაკეთი-თურქეთი | 4,2 | 2,15 | 2,35 | 1,42 | 1,5 | 1,12 |
| 23.15 | 2006 | შვეიცარია-რუსეთი | 2,6 | 2,15 | 3,5 | 1,17 | 1,49 | 1,33 |
| 23.15 | 2007 | ისრაელი-სლოვენია | 3,1 | 2,1 | 3,1 | 1,25 | 1,55 | 1,25 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **7 ივნისი** | | |
| 19.00 | 2401 | შოტლანდია-გერმანია | 2,5 | 1,55 |
| 21.00 | 2402 | ბულგარეთი-ბელგია | 1,6 | 2,4 |
| 21.00 | 2403 | ფინეთი-სერბეთი | 2,0 | 1,8 |
| 22.15 | 2404 | დანია-ნორვეგია | 1,55 | 2,5 |
| 23.15 | 2405 | სლოვაკეთი-თურქეთი | 2,4 | 1,6 |
| 23.15 | 2406 | შვეიცარია-რუსეთი | 1,7 | 2,2 |
| 23.15 | 2407 | ისრაელი-სლოვენია | 1,9 | 1,9 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **7 ივნისი** | | | | | | | | | |
| 19.00 | 2101 | შოტლანდია-გერმანია | 6,0 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,7 |
| 21.00 | 2102 | ბულგარეთი-ბელგია | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,6 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 21.00 | 2103 | ფინეთი-სერბეთი | 4,2 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 22.15 | 2104 | დანია-ნორვეგია | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 23.15 | 2105 | სლოვაკეთი-თურქეთი | 5,3 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,7 |
| 23.15 | 2106 | შვეიცარია-რუსეთი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 23.15 | 2107 | ისრაელი-სლოვენია | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |


სამ თბილისურ ბიუროში

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");

დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I კორპუსი

კროკომ შემდეგზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა

შაბათი 12.00–21.30

კვირა 12.00–20.30




# მიხეილ კაკაბაძე

## სახელი, რომელიც გათბობს და გაფხიზლებს: იყავ კაცი და პროფესიონალი!



გუშინ კიდევ ერთხელ მოვისმინეთ ქართული სპორტული ჟურნალისტიკის პატრიარქ მიხეილ კაკაბაძეზე თქმული სიტყვები. ბევრი, ძალიან ბევრი თბილი სიტყვა მოვისმინეთ, ეს მოგონებები კი დაკავშირებული იყო წიგნთან „მიხეილ კაკაბაძე. მომავლის ქართველის გახსენება“, რომლის პრეზენტაციაზეც კაფე „მსოფლიო სპორტში“ შევიკრიბეთ. აქ იყვნენ მიხეილ კაკაბაძის ოჯახის წევრებიც, მისი ყოფილი სტუდენტებიც, თანამშრომლებიც, სპორტული საზოგადოებისა თუ სხვა სფეროთა წარმომადგენლებიც...

წიგნის პრეზენტაციაო, კი ვამბობთ, მაგრამ ეს თავყრილობა უფრო მიხეილ კაკაბაძის ხსოვნის საღამო იყო.

საერთოდ, ამგვარ საღამოებზე ხშირად გაზვიადებულად აფასებენ გარდაცვლილის ღირსებებსა და დამსახურებებს. მეც რომ არ მცნობოდა მიხეილ კაკაბაძე, მის „ლელოში“ რომ არ მემუშავა, ვიფიქრებდი, ყველაფერი თუ არა, რაღაც-რაღაცეები მაინც გაზვიადებულია-მეთქი. და რაკი ვიცნობდი, არც იმ საღამოზე გამომსვლელთა ალალ, უაღრესად თბილ სიტყვებში შემპარვია ეჭვი და არც საპრეზენტაციო წიგნში დასტამბულ მოგონებებში. ეს უხვად ილუსტრირებული წიგნი კი მართლაც მშვენიერი გამოვიდა და იქნებ საქართველოში დასტამბულ მსგავს გამოცემათა შორის საუკეთესოც კი იყოს არა მხოლოდ ფორმით, არამედ შინაარსით. და, რაც მთავარია, ეს წიგნი მასში გამოქვეყნებულ მოგონებათა ავტორების გულრწფელობით გამოირჩევა.

ამ 417-გვერდიან წიგნში შესულია ნეკროლოგები, მოგონებები მიხეილ კაკაბაძეზე, „სამი ინტერვიუ მიხეილ კაკაბაძესთან“, თავად მიხეილ კაკაბაძის ნაკალმევი და ნაყალმევიც, რომლითაც მისი ერთი ლექსი „შემოდგომა“ არის დასურათებული. აქვეა მიხეილ კაკაბაძის მიერ ჯერ კიდევ 1935 წელს დაწერილი „პირველი ოპუსი“, „რუსები და ქართველები წინედ და ეხლა“, აქვეა მისი უკანასკნელი წერილი „გლობუსის მეორე მხარეს“ (1981 წელი) და მოთხრობა „სახლი“. წიგნში ვეცნობით მიხეილ კაკაბაძის „პირად ბარათს“ — „ბარათი არგენტინელ ქართველებს“ და ერთ „ინგლისურ დღიურს“ („საზღვარგარეთული დღიურიდან“).

წიგნში დასტამბულია სამოცდაათამდე საოცრად გულწრფელი და გულთბილი მოგონება მიხეილ კაკაბაძეზე, რომელთა ავტორები არიან სპორტის, ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების წარმომადგენლები, მათ შორის უცხოელებიც.

ამ გამოცემას დართული აქვს საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის მიერ 1993 წელს დაარსებული მიხეილ კაკაბაძის სახელობის პრემიის ლაურეატთა სია.

ეს „ასოციაცია არის უშუალო მემკვიდრე 1959 წლიდან არსებული საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციისა, მაშასადამე გამგრძელებელი იმ საქმისა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს „ლელოს“ პირველმა რედაქტორმა მიხეილ კაკაბაძემ და სხვა ცნობილმა სპორტულმა ჟურნალისტებმა. სწორედ მიხეილ კაკაბაძის თაოსნობით შეიქმნა სპორტულ ჟურნალისტთა პირველი პროფესიული გაერთიანება, რომელიც, მართალია, მოსკოვს ექვემდებარებოდა, მაგრამ მნიშვნელოვან ქართულ საქმეს აკეთებდა — ხელს უწყობდა სპორტისა და სპორტული ჟურნალისტიკის განვითარებას საქართველოში.“

ძალზე სასიამოვნოა, რომ სხვებთან ერთად დღეს ამ საქმეს აგრძელებენ მიხეილ კაკაბაძის მიერ დაფრთიანებული ჟურნალისტები. მათ შორის თავად ჩვენი ამქრის პატრიარქის შვილები, გიგა და დავითი, რომელთა პროფესიული არჩევანითაც თავის დროზე ძალზე გაიხარა მიხეილ კაკაბაძემ.

ვინ იცის, იქნებ პაპის კვალს გაჰყვეს პატარა მიხეილ კაკაბაძეც, რომელიც იმ საღამოს ყველას გაფართოებული თვალებით შესცქეროდა და სულგანაბული უსმენდა. ბოლოს მასაც სცენაზე უხმეს, როცა ვეტერანი ჟურნალისტის, პაპამისის ერთ-ერთი თანამებრძოლის, ჯიმშერ ენუქიძისთვის მიხეილ კაკაბაძის სახელობის პრემიის გადაცემის პატივი დააკისრეს.

ეს პრემია გადაეცა აგრეთვე პაატა ნაცვლიშვილს, რომელიც საპრეზენტაციო წიგნის რედაქტორი, მისი კონცეფციისა და დიზაინის ავტორი გახლავთ.

ამ პრეზენტაციის დასასრულს დიდ ხანს არ იშლებოდა იქ შეკრებილი საზოგადოება, ბოლოს კი „მსოფლიო სპორტში“ მსოფლიოს სპორტის ვარსკვლავთა სტენდებთან ერთად დარჩა მიხეილ კაკაბაძის კუთხეც, რომელსაც ამშვენებს მისი რედაქტორობით გამომავალი „ლელოს“ პირველი ნომერი, პირადი ნივთები და სამუშაო იარაღი — კალამი.

**ავთანდილ გურასაშვილი**

**გურამ დოლენჯაშვილის ფოტოები**



საღამოს წამყვანი თამარ ბალავაძე, პატარა მიხეილ კაკაბაძე, ჯიმშერ ენუქიძე და ამ საღამოს თაოსანი, საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილი



გიგა კაკაბაძემ (მარჯვნივ) მამის სახელობის პრემია პაატა ნაცვლიშვილს გადასცა



დავით კაკაბაძე




მიხეილ კაკაბაძის სტენდი, რომელმაც „მსოფლიოს სპორტი“ დაამშვენა

## აღმოსავლეთი
### ნიუ ჯერსი ნეთსი

რეგულარული ჩემპიონატი: 49 მოგება, 33 წაგება
მეორე ადგილი აღმოსავლეთ კონფერენციაში
პლეი ოფი: მილუოკი 4:2, ბოსტონი 4:0, დეტროიტი 4:0

ლიდერები პლეი ოფში: კენიონ მარტინი 20,7 ქულა, 9,1 მოხსნა; ჯეისონ კიდი 20,3 ქულა, 8,4 მოხსნა, 8,3 პასი, 2,1 ჩაჭრა; რიჩარდ ჯეფერსონი 14,4 ქულა, 6,3 მოხსნა; კერი კიტლზი 10,8 ქულა; ლუციუს ჰარისი 8,3 ქულა
მწვრთნელი: ბაირონ სკოტი

## PLAY OFF ფინალი

| | |
|---|---|
| **ოთხ მოგებამდე** | |
| 4 ივნისი | სან ანტონიოში |
| 6 ივნისი | სან ანტონიოში |
| 8 ივნისი | ისტ რეზერფორდში |
| 11 ივნისი | ისტ რეზერფორდში |
| **თუ საჭირო გახდა** | |
| 13 ივნისი | ისტ რეზერფორდში |
| 15 ივნისი | სან ანტონიოში |
| 18 ივნისი | სან ანტონიოში |

## დასავლეთი
### სან ანტონიო სფურსი

რეგულარული ჩემპიონატი: 60 მოგება, 22 წაგება
პირველი ადგილი დასავლეთ კონფერენციაში
პლეი ოფი: ფინიქსი 4:2, ლეიკერსი 4:2, დალასი 4:2

ლიდერები პლეი ოფში: ტიმ დანკანი 24,9 ქულა, 14,8 მოხსნა, 5,3 პასი, 2,6 დაფარება; ტონი პარკერი 14,9 ქულა, 3,3 პასი; სტივენ ჯექსონი 13,6 ქულა; მალიქ როუზი 9,8 ქულა, 6,4 მოხსნა; ემანუელ ჯინობილი 9,7 ქულა, 3,6 მოხსნა, 3,2 პასი, 1,6 ჩაჭრა
მწვრთნელი: გრეგ პოპოვიჩი

### ნიუ ჯერსი
#### დამწყები ხუთეული

ჯეისონ კიდი — 30 წლის გამთამაშებელი, რომელიც ბოლო ორი წელია, ასოციაციაში თავის ამპლუაში უპირობოდ საუკეთესოა. „ნიუ ჯერსის“ ლიდერი, ამ სიტყვის სრულყოფილი გაგებით და ამ მჭლე გუნდის ზედიზედ ორ ფინალში გამყვანი.



კერი კიტლზი — გამხდარი, მოქნილი კლასიკური მსროლელი, რომელიც ხშირმა ტრავმიანობამ ნბა-ს თანავარსკვლავედიდან ამოაგდო. თუ თამაში წაუვიდა, მნიშვნელოვან მატჩში 15-20 ქულის გაკეთება შეუძლია. შვიდი წელია, „ნეთსის“ ერთგულია.

რიჩარდ ჯეფერსონი — კლასიკური ფრთა, რომელზეც ბევრი იქნება ამ სერიაში დამოკიდებული. თუმც მხოლოდ ორი წელია, ნბა-შია, უკვე სახიფათო შემტევი და სოლიდური დამცველია.

კენიონ მარტინი — „ნეთსის“ საუკეთესო მეფარე, ემოციური და არასტაბილური თავდამსხმელი, თუმც წლევანდელ პლეი ოფში დალვინებულ ვეტერანად წარმოჩნდა.



ჯეისონ კოლინზი — „ნეთსის“ სასტარტო ხუთეულში ყველაზე მაღალი კაცი, რომელიც ძირითად ცენტრად დიკემბე მუტომბოს ტრავმიანობის შემდეგ დამკვიდრდა.

#### სათადარიგოები

ლუციუს ჰარისი — სათადარიგო მსროლელი, ზუსტი ხელის და მტკიცე ნერვების პატრონი, სკოტი მას იმედიანად უნაცვლებს კერი კიტლზს.

როდნი როჯერსი — 201-სანტიმეტრიანი კუნთმაგარი ფორვარდი, რომელსაც ფარქვეშ ჯაჯგურიც შეუძლია და სამქულიანების სროლაც. ბევრ გუნდში უთამაშია, ძირითადად სასტარტო ხუთეულებში.

დიკემბე მუტომბო — თავისი ეპოქის ერთ-ერთი საუკეთესო დამცველი, უძლიერესი მომხსნელი და დამფარებელი. კარიერის დაისზე ტრავმებმა დატანჯა და ამის გამო ამ ფინალში იშვიათად მოუწევს სათადარიგოთა სკამიდან წამოდგომა.

# მარცხენა თვალის თამაში
## ალბათ უფრო დასავლეთი... ნუ სისინებთ, ვნახოთ...



*რამდენიმე საათიც და ნბა-ს ფინალურ სერიაში პირველი შეტაკება მოხდება. დაიწყება გენერალური ბრძოლა ჩრდილო ამერიკის ზემძლავრი საკალათბურთო ლიგის ორი ნახევრის ორ საუკეთესო გუნდს შორის. წყალი არ გაუვა, „სან ანტონიო“ დასავლეთის ნაღდი რჩეულია და არც აღმოსავლელი „ნიუ ჯერსი“ გახლავთ ფინალის შემთხვევითი სტუმარი. ორივე ღირსეული ჩემპიონია თავთავიანთი კონფერენციებისა, ამაზე არც არავინ დავობს, მაგრამ ახლა ის ვიკითხოთ, რამდენად ღირსეულ მეტოქეობას გაუწევს ერთი მეორეს?*

რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენის წინ ადამიანის სააზროვნო სიღრმეებიდან უამრავი კითხვა მოიწევს ენის წვერისკენ. სპორტული მოვლენის დაწყებამდე დაბადებული კითხვებიდან ახლო მომავლის განჭვრეტის მცდელ ადამიანს უპირატესად ერთი ეძალება — ვინ მოიგებს? მაგრამ ამ კითხვას ნბა-ს ფინალებში, რიგ გარემოებათა გამო, დაუკარგავს აქტუალურობა, პასუხადაც კი ქცეულა — რა თქმა უნდა, დასავლეთი მოიგებს. დასავლელები იგებენ, თან დიდი გართულებების გარეშე, იმ დროიდან, რაც აღმოსავლეთმა დაკარგა „ჩიკაგო ბულზი“, ბოლო ოთხი ჩემპიონი მისისიპის იქითა ნბა-ს ბინადარია. ამ ფინალის ფავორიტიც — „სან ანტონიო სფურზი“ — იქითა კონფერენციულია. ფინალამდე ფიქრთა და საუბართა ზედაპირზე ამოტივტივებული კითხვა კი ძირითადად ასე ყალიბდება — რამდენ მატჩში მოიგებს „სან ანტონიო“? ხუთში — პასუხობენ ერთნი, ექვსში — ასეთია სხვათა აზრი. ზოგი სპეციალისტი „ნიუ ჯერსის“ ოთხ თამაშში დასამარცხებლად — ეს კი 0:4 განადგურებას ნიშნავს — იმეტებს, მაგრამ არავინ აძლევს მას მეშვიდე თამაშში ბედის ცდის „შანსს“. საყოველთაო აზრით, „ნეთსი“ ვერ მოახერხებს „სფურზის“ 3:3 დონეზე გაწვალებას.

ნიუჯერსელი ბიჭები მაინც არ კარგავენ იმედს, მეტადრე კი მათი მუდამ ოპტიმისტი მწვრთნელი, ბაირონ სკოტი. იგი შარშანაც იქადნებოდა, „ლეიკერსს“ ოფლს გამოვწურავო, მაგრამ შარშანდელ ფინალში მისმა ბიჭებმა თამაშიც ვერ მოუგეს შაკილ ონილისა და კობი ბრაიანტის გუნდს და სკოტს ერთხელაც არ მისცემია საშუალება, უკვე გამარჯვებული კაცის პოზიციიდან ეტრაბახა.

წლეულს სკოტის ოპტიმისტური სიტყვები რეალობის ჩარჩოებში მოქცეულა. სკოტი ამბობს: „შარშანდელმა ფინალმა საჭირო გამოცდილება შეგვძინა, წაგებამ უფრო მოგვაწყურა გამარჯვება. წლეულს ჩვენ მხოლოდ სამონაწილეოდ როდი მოვსულვართ ფინალში, უკვე ვიცით, რაც გვინდა და ვიცით, როგორ მოვიპოვოთ ის, რაც გვინდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ უკვე ჩამოვყალიბდით საპლეიოფო გუნდად, პირველ რიგში მენტალურად, თორემ თამაში ჩემს გუნდს ყოველთვის შეეძლო.“

სკოტის იმედებს მისი ბიჭების ლიდერი ჯეისონ კიდი და მისი მეცადინეობით მოგებული ბოლო ათი საპლეიოფო თამაში ასაზრდოებს. კიდი შესანიშნავ ფორმაშია, ხოლო ვინაიდან ის გუნდის ქარიზმატული ლიდერია, თანაც გამთამაშებელია, მისი კარგი თამაში ხშირ შემთხვევაში მთლიანად გუნდის კარგ თამაშს ნიშნავს. კიდის ქარიზმა დაიპყრობს მოედნის „სფურზის“ ნახევარს და „ნეთსს“ შეტევაში ფრთების გაშლის საშუალებას მისცემს. სკოტის ღრმა რწმენით, გუნდში კიდისთანა მოთამაშის ყოლა — კიდის დარი მოთამაშე კი ნბა-ში მხოლოდ კიდის გუნდს ჰყავს — ავტომატურად ნიშნავს უპირატესობას უკანა ხაზში. „სან ანტონიოს“ ფრანგი გამთამაშებელი ტონი პარკერი ძალიან პატარა და გამოუცდელია კიდის მეურვეობისთვის, ხოლო „სფურზის“ საუკეთესო დამცველი ბრიუს ბოუენი ერთობ დიდია და ნელი. სკოტი საფრთხეს გრძნობს „სან ანტონიოს“ სათადარიგო უკანახაზელ, არგენტინელ მანუ ჯინობილისგან, რომელიც თითქმის კიდის ტანისაა და არც მოქნილობა აკლია და არც კარგი დამცველისთვის საჭირო „სიჯიუტე“. თუმცა ჯინობილი ხომ ახალბედაა, კიდი კი ნბა-ში თავის მეცხრე სეზონს ამთავრებს.

ეს პერიმეტრი, ხოლო რაც შეეხება ფარქვეშეთს, აქ გამოკვეთილ უპირატესობას „სან ანტონიო“ ფლობს, რამეთუ ჰყავს ბოლო ორი სეზონის საუკეთესო კალათბურთელი ტიმ დანკანი. ბაირონ სკოტი ფარქვეშ დანკანის შეზღუდვას ზონური დაცვით აპირებს და თუ მის განკარგულებაში მყოფმა მაღლებმა და, უპირველეს ყოვლისა, მოზვერა კენიონ მარტინმა სანანტონიოელი მონსტრის მოძალებას ვერ გაუძლეს, „ნიუ ჯერსის“ კიდი და მისი ქარიზმა ვეღარ უშველის. დანკანმა სფურზი ერთხელ უკვე გახჩემპიონა 1999 წელს, მაშინ ის მხოლოდ 23 წლის იყო და ნბა-ში თამაშის ორწლიანი გამოცდილება ჰქონდა. ახლა კი 213-სანტიმეტრიანი ტიმი კიდევ უფრო მძლავრი მოთამაშეა, რაც ამ პლეი ოფის მეორე წრეში ნათლად გამოჩნდა. იქ დანკანმა აჯობა თვით შაკილ ონილს და მისი წყალობით „სან ანტონიომ“ ბოლო სამი პლეი ოფის მომგები „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“ დაამარცხა.

„ნიუ ჯერსი“ „სან ანტონიოს“ მხოლოდ ერთხელ გადაყრია პლეი ოფში შორეულ 1976 წელს. მაშინ ორივე სულ სხვა ლიგაში, აბა-ში თამაშობდა და ამ საკმაოდ სოლიდური ლიგის ფინალში გადააწყდნენ ისინი ერთმანეთს. გამარჯვება — 4:2 „ნეთსს“ დარჩა, რომელსაც მაშინ მფრინავი საოცრება, ჯულიუს ირვინგი ჰყავდა.

ხოლო „სან ანტონიოს“ დღეს ტიმ დანკანი ჰყავს. ძველი კალათბურთელები ამბობენ, დანკანი გამოკვეთილ მძიმე ფორვარდებში (ქართულ საკალათბურთო წრეებში ამ ამპლუის მოთამაშეს „4 ნომერს“ ეძახიან) იქნებ ყველა დროის საუკეთესო იყოსო.

**ირაკლი ფირაშვილი**

### სან ანტონიო
#### დამწყები ხუთეული

ტონი პარკერი — ცქრიალა ფრანგი გამთამაშებელი, რომელიც სულ იოლად ჩაჯდა ამ ძლიერ გუნდის საერთო რიტმში და ამპლუის გამო „სფურზის“ მაჯისცემას წარმართავს კიდეც. ლაღი და დაუძაბავი ბურთაობის გამო ყველას სიმპათიას იმსახურებს.

სტივენ ჯექსონი — მოულოდნელად „სფურზის“ წამყვან მოთამაშედ ქცეული მსროლელი ფრთა, რომელიც ნბა-ში თავის მესამე და საუკეთესო სეზონს ატარებს. კარიერა „ნიუ ჯერსიში“ დაიწყო.

ბრიუს ბოუენი — საშუალო სიმაღლის ვიწრო სპეციალიზაციის მოთამაშე. ძალიან კარგი პერსონალური დამცველია, ხოლო შეტევაში მისი სარგებელი სამქულიანების კანტიკუნტი სროლაა.

ტიმ დანკანი — ყოველმხრივ ძლიერი, შეიძლება ითქვას, თითქმის სრულყოფილი თავდამსხმელი, აქვს მყარი ფსიქიკა, გამარჯვების ჟინი და სათამაშო კომპონენტების ყველაზე სრული არსენალი ნბა-ს მაღალ მოთამაშეებში.

დევიდ რობინსონი — 90-იანი წლების ერთ-ერთი უძლიერესი მოთამაშე. ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრი. ნბა-ში თავის ბოლო სეზონს ატარებს და ალალიც იქნებოდა, კარიერა ჩემპიონობით დაემთავრებინა.




#### სათადარიგოები

მალიქ როუზი — შესანიშნავი სათადარიგო მეფარე, საიმედო მოედნის ორივე ნახევარზე. თანაბრად კარგად ცვლის როგორც ტიმ დანკანს, ასევე დევიდ რობინსონს. ამ ბოლო დროს უფრო მეორის სამარქაფოა.

მანუ ჯინობილი — ზანგივით მოქნილი და დინამიური არგენტინელი ახალბედა, რომელიც კალათბურთისთვისაა დაბადებული. მალე ნბა-ს ნამდვილი ვარსკვლავი გახდება, მანამდე კი თვალს აკრობატული ნახტომებით და თამაშის შეუპოვარი მანერით იტაცებს.



სტივ კერი — ვეტერანი თეთრი სნაიპერი. ფინალის მონაწილეთაგან ყველაზე ტიტულიანი. სამჯერ „ჩიკაგოში“ გამხდარა ჩემპიონი, ერთხელაც „სან ანტონიოში“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფაჩულიას სადრაფტო შანსი: ცენტრი ყურადღების ცენტრში

## ზაზამ იცის: ფულს თავისი დრო აქვს

*გადაწყვეტილი ამბავია: საქართველოს ნაკრების ცენტრი ზაზა ფაჩულია რამდენიმე დღეში ამერიკაში წავა და 26 ივნისს ნბა-ს დრაფტში მიიღებს მონაწილეობას. აქედანვე ითქმის — ფაჩულია დრაფტზე ვერ მიაღწევს ნიკა ცქიტიშვილის დარ წარმატებას, რომელიც „დენვერ ნაგიტსმა" შარშან მეხუთე ნომრად აირჩია. სიმართლე ითქვას, ამას არც აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. „ჩემთვის არავითარი აზრი არა აქვს, რომელ ნომრად ამირჩევენ დრაფტზე. მთავარია, ნორმალურმა გუნდმა ამიყვანოს და თამაშის შანსი მომცეს" — ამბობს საამერიკოდ გამზადებული ფაჩულია...*

*ამასობაში კი ზაზას ხელიდან ეცლება თურქეთის ჩემპიონობა. რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებული „ულქერი" ფინალურ სერიაში 1:3 აგებს თურქულ ოქროში მარადმოცილე „ეფესთან". თურქებმა ფაჩულიას ფასი ახლაღა გაიგეს, ბარემ მთელი სეზონის უთამაშებელი პლეი ოფში დაასაქმეს, მაგრამ შესაძლოა, არ იცოდნენ, რომ ზაზას გული საულქეროდ აღარ უძგერს...*



ზაზა ფაჩულია „ულქერისთვის" გადამწყვდა

**— მაინც, როგორ ფიქრობ, რეალურად რომელ ნომრად არჩევას იმსახურებ?**

— ნამდვილად არ ვიცი. ისე კი, ის კაცი არ ვარ, მაღალ ნომრად არჩევას დავხარბდე. გინდაც სულ ბოლოს ამირჩიონ, ოღონდაც მათამაშონ და ევროპულ კლუბში არ გამანათხოვრონ.

**— თამაში მართლაც მთავარია, მაგრამ მაღალ ნომრად არჩეულებს, შესაბამისად, ხელფასიც სოლიდური აქვთ...**

— მე ფული არ მაინტერესებს, ყველაფერს თავისი დრო აქვს. თუ კარგად ვითამაშებ და ჩემს გუნდს გამოვადგები, ხელფასსაც გამიზრდიან. ერთი-ორი წელი როგორმე გავძლებ, მერე კი, თუ ყველაფერი კარგად იქნა, ფულიც მექნება და სახელიც. ტონი პარკერი „სან ანტონიომ" 28-ე ნომრად აირჩია, ახლა კი ხუთეულის წევრი და გუნდის ლიდერია.

**— კარგი იყო, ამერიკაში თურქეთის ჩემპიონის რანგში ჩასულიყავი, მაგრამ თურქული ოქროს მოგება საეჭვო გახდა, ფინალურ სერიაში 1:3 ჩამორჩით...**

— „ეფესმა" მართლაც გვაჯობა, ზედიზედ ორი მატჩი მოგვიგო და ახლა ჩემპიონობამდე ერთი ნაბიჯი უკლია.

**— არადა, „ეფესს" რეგულარულ ჩემპიონატში აჯობეთ, ფინალშიც თანაბარი ბრძოლას ვარაუდობდნენ...**

— არ ვიცი, რა დაემართა „ულქერს". პლეი ოფის დაწყებამდე თურქეთის თასი მოვიგეთ, „ეფესსაც" ვძლიეთ და „ტელეკომიც" დიდი ანგარიშით დავამარცხეთ ფინალში. ამ წარმატების შემდეგ ყველაფერი თავდაყირა დადგა, ვერა და ვერ გამოვფხიზლდით. თურქეთის ჩემპიონატის ნახევარფინალში „ტელეკომს" ძლივს მოვუგეთ, ახლა „ეფესთანაც" გვიჭირს.

**— ალბათ გადაიღალეთ, ევროლიგა, თურქეთის თასი, ჩემპიონატი...**

— არა, რა გადაღლა, უბრალოდ, ბევრმა ჩემმა თანაგუნდელმა ადრიანად დაიარხეინა თავი. ახლა კი უკვე გვიანია, 1:3 ვაგებთ და უმრავლესობამ ყურები ჩამოყარა, უკვე შეგუებულები არიან მარცხს.

**— ისე, რაც უფრო გაიწელება ფინალური სერია, მით უფრო გვიან წახვალ ამერიკაში...**

— კი, მაგრამ, ამის გულისთვის რომ წაგება ვინატრო, მართალი არ ვიქნები. მომდევნო მატჩი 4 ივნისს შინ გვაქვს და ყველაფერს გავიღებ მოსაგებად.

**— ხშირად გათამაშებენ?**

— მას შემდეგ, რაც ევროლიგაში გამოვიჩინე თავი, სისტემატურად მათამაშებენ და საკმარისი დროითაც. ხან მე ვარ სასტარტო შემადგენლობაში, ხან — ჯოზეფ ბლერი. მთელი სეზონი რომ ამდენი მეთამაშა, ახლა გაცილებით კარგ ფორმაში ვიქნებოდი, მაგრამ არ ვჯავრობ, წინ სერიოზული გამოცდა, სადრაფტო და მისი შემდგომი ბატალიები მელის. მთავარია, ჩემი თავის მეიმედება და ნეტავ იღბალმაც არ მაქციოს ზურგი.

**— ფინალური სერია ჩამთავრდება და მეორე დღესვე ამერიკაში გავფრინდები. 26 ივნისს დრაფტია და მინდა, ცოტა ადრე ჩავიდე, რამდენიმე დრაფტისწინა ვარჯიშში მივიღო მონაწილეობა.**

**— ეგრე დარწმუნებით რომ ამბობ, მივდივარო, ამერიკაში თუ გელიან?**

— ყველაფერი მოგვარებულია, ჩემმა მენეჯერმა მარკ ფლეიშერმა რა ხანია, საჭირო დოკუმენტები წარადგინა ნბა-ს შესაბამის სამსახურში და დრაფტში მონაწილეთა სიაშიც უკვე ოფიციალურად შემიყვანეს.

**— თურქებისგან რაიმე დაბრკოლება ხომ არ შეგექმნება? ადრე ამბობდი, თბილისში ჩამოვალ და მანდიდან გავემგზავრები ამერიკაში, აქაურებს გულზე არ ეხატებათ ჩემი წასვლა და შესაძლოა, ხელი შემიშალონო...**

— საქართველოში ჩამოსვლა გადავიფიქრე, სტამბოლი-თბილისის რეისი გაუქმდა და ავტომობილით მგზავრობა საშინლად დამღლის. თანაც, რომც ეცადონ, არა მგონია, თურქებმა რამეში ხელი შემიშალონ. სეზონის ბოლოს კონტრაქტი მიმთავრდება და „ულქერში" ველარავინ დამაკავებს.

**— დრაფტისწინა ვარჯიშებში შარშანაც მონაწილეობდი, ნბა-ს რამდენიმე კლუბი კარგად გიცნობს. აქედანვე ხომ ვერ იტყვი, რომელი გუნდი აგირჩევს?**

— მაგის თქმა არ შეიძლება. შესაძლოა, რომელიმე გუნდს მართლაც გულით უნდოდეს, აგირჩიოს, მაგრამ სხვამ დაასწროს, უფრო მაღალი არჩევანის მქონე კლუბმა.

**— თურქულ საიტზე ეწერა, ფაჩულიას სანახავად ნბა-ს სამი კლუბის სკაუტები ჩამოვიდნენ სტამბოლშიო. ჩვენ კი გავიგეთ, რომ შენს მენეჯერს „ლეიკერსთან" ჰქონია მოლაპარაკება...**

— ფლეიშერი არა მარტო „ლეიკერსს", ცენტრის მძიმე თითქმის ყველა გუნდთან აწარმოებს მოლაპარაკებას. ხეირიანი ცენტრი, გეცოდინება, დიდი პრობლემაა დღეს ნბა-ში. ის კი არა, წლევანდელ დრაფტზეც ძალიან ცოტანი ვართ ამ პოზიციაზე მოთამაშენი. „ლეიკერსს" მართლაც ძალიან ესაჭიროება შაკილ ონილის შემცვლელი. როგორც ვიცი, შაკის გარდა წლეულს „ლეიკერსის" ყველა მაღალს უმთავრდება კონტრაქტი. ფილ ჯექსონის გუნდს წლევანდელ დრაფტზე 24-ე არჩევანის უფლება აქვს. თუ მანამდე არავის გავახსენდი, ალბათ „ლეიკერსი" ამირჩევს 24-ე ნომრად.

საიტზე თუ დაწერეს რამე, არ მინახავს. ისე, აქ სამი კი არა, გაცილებით მეტი გუნდის წარმომადგენელი იყო ჩამოსული. თავიდან „ბოსტონის", „საკრამენტოსა" და „სიეტლის" სკაუტები სტუმრობდნენ სტამბოლს, ამ ბოლო დროს კი — „მილუოკისა" და „ტორონტოს" მზვერავები.

**— შენ თუ დაგეკონტაქტნენ?**

— არავინ დამკავშირებია და ეს არცაა წესი. სკაუტი იმისაა, რომ კალათბურთელი შეათვალიეროს და მისი მონაცემები წარმომგზავნელ კლუბს აახლოს. თუ რომელიმე კლუბის აგენტს მოვეწონე, ის კლუბი უკვე სხვა მუშაკის საშუალებით დაუკავშირდება მარკ ფლეიშერს და უფრო კარგად შეიტყობს ჩემს ავანჩავანს.

**— ალბათ მაიამელების შენით დაინტერესებაზეც გსმენია...**

— ვოვა სტეფანიამ ახლახან მითხრა ტელეფონით, რომ „მაიამიში" მართლაც სერიოზულად ყოფილან ჩემით დაინტერესებულნი. თუმც არ მგონია, მაიამელებმა დრაფტზე მე-5 არჩევანის უფლება ჩემზე დახარჯონ. მეორე რაუნდამდე თუ არავინ ამირჩია, არაა გამორიცხული, პატ რაილის გუნდში აღმოვჩნდე.

**ირაკლი ბერტაია**



ლარი ბრაუნი



რიკ კარლაილი

# ამერიკული მადლიერება

## დეტროიტში კარგ მწვრთნელს უფრო კარგი ურჩევნიათ

ამ დღეებში ნბა-ში მოულოდნელი ამბავი გავარდა — „დეტროიტ პისტონზმა" მთავარი მწვრთნელი რიკ კარლაილი დაითხოვა. კარლაილს თითქოს არაფერი ემუქრებოდა. პირიქით, კლუბის პრეზიდენტი ჯო დუმარსი ემადლიერებოდა კიდეც. კარლაილმა ორი წელი უთავკაცა „დგუშებს", თითო სეზონში 50-50 თამაში მოაგებინა და ორჯერვე ცენტრალური დივიზიონის ლიდერად დაამთავრებინა რეგულარული ჩემპიონატი. პლეი ოფშიც წლეულს აღმოსავლეთის ფინალამდე მიიყვანა.

და უცებ ჯო დუმარსმა მადლობა გადაუხადა ორ წელიწადში გაწეული სამუშაოსთვის და სთხოვა (მოსთხოვა), გაეთავისუფლებინა „დეტროიტ პისტონზის" მთავარი მწვრთნელის სკამი. კარლაილს კი კონტრაქტით კიდევ ერთი სეზონი უნდა ემუშავა ამ თანამდებობაზე.

ახალგაზრდა და გონიერი მწვრთნელის ასე ფაცაფუცით დათხოვნას ამერიკელი კალმოსნები ერთ ამბავს მიაწერდნენ. „დეტროიტი" ჩქარობდა სხვებისთვის დაესწრო და ხელში ჩაეგდო „ფილადელფია სიქსერზის" ყოფილი თავკაცი, დიდების დარბაზის წევრი ლარი ბრაუნი, რომელიც ეს რამდენიმე დღეა, „ფილადელფიას" დაშორდა. ჯო დუმარსი თვლის, რომ მწვრთნელობაში დაბერებული ბრაუნის ხელში „დეტროიტი" უფრო სოლიდურ იერს და სათამაშო სიღრმეს შეიძენს. დუმარსს ასეთი რადიკალური ნაბიჯებით გუნდის ხელმძღვანელობისთვის ბევრი აკრიტიკებს, მაგრამ ისიც ნიშანდობლივია, რომ მის ხელში „დეტროიტი" მხოლოდ წინ და წინ მიდის.

კარლაილი ახლა დროებით უმუშევარია. მას ალბათ აიყვანს რომელიმე უმწვრთნელო გუნდი, ასეთი კი არაერთია, ახლა ნბა-ში ხომ გამოცდილი სპეციალისტების დეფიციტია. ჟურნალისტები კი თურმე მართალს ამბობდნენ — გუშინ „დეტროიტმა" ბრაუნს 5-წლიანი და 25-მილიონიანი კონტრაქტი გაუფორმა. ლარი ბრაუნისთვის „დეტროიტი" ნბა-ს მეშვიდე გუნდია. წინა ექვსთან მისი ჯამური შედეგი 879 მოგება და 685 წაგებაა. მიუხედავად საპენსიო ასაკისა — ის 62 წლისაა — ბრაუნი დღემდე ითვლება ნბა-ში მომუშავე მწვრთნელთაგან ერთ-ერთ საუკეთესოდ, სხვაგვარად მას არ ჩააბარებდნენ ქვეყნის ნაკრებს, რომელიც 2004 წლის ათენის ოლიმპიადაზე მხოლოდ ოქროსთვის იბრძოლებს. ბრაუნი გახლავთ 2000-01 წლების სეზონის საუკეთესო მწვრთნელი. სხვათა შორის, რიკ კარლაილი მომდევნო, 2001-02 წლების სეზონში იყო საუკეთესო.

ამ უქმეებზე კიდევ ერთმა გუნდმა გადაჭრა სამწვრთნელო პრობლემა — თავი დაედგა „კლივლენდ კავალიერზს". „კავალერიის" გენერალიტეტმა არაერთი დღე იმსჯელა და ბოლოს ორ კანდიდატს შორის არჩევანი გააკეთა. დიდი ხნის წინ „ნიუ იორკიდან" წამოსული ჯეფ ვან განდის კვლავ მოუწევს სამუშაოს საძებნად ოფისიდან ოფისში წანწალი. „კავალერიის" და პირველ რიგში ფენომენი მოთამაშის, ლებრონ ჯეიმსის გაწვრთნის ბედნიერება „ნიუ ორლეანიდან" ახლახან დათხოვილ პოლ საილასს ხვდა წილად. საილასი ამ პლეი ოფის პირველ წრეში „ფილადელფიასთან" მარცხს ემსხვერპლა, მაგრამ, თქვენც ხედავთ, მალევე იშოვა სამუშაო, თანაც როგორი, თვით ლებრონ ჯეიმსის პირველი მწვრთნელი იქნება ნბა-ში. ახლახან სკოლადამთავრებული სუპერბიჭუნა ლებრონი დრაფტზე დამდგარ მოთამაშეთაგან ყველაზე პერსპექტიულად ითვლება, ხოლო რაკი „კლივლენდს" დრაფტზე პირველი არჩევანის უფლება აქვს, უეჭველად მას შეხვდება ეს ბიჭი. ბიჭი უძახიან და, ამ 18 წლის ჯეელმა ყველა გადარია. ამბობენ, მაიკლ ჯორდანი თუ არა, კობი ბრაიანტი მაინცააო.

**კოტე ყორშია**



„ვაშინგტონიდან" გაშვებულ მაიკლ ჯორდანს რამდენიმე ხანში მწვრთნელი დუგ კოლინზიც მიაყოლეს

# ლაზიერი ნაცარში

## ევროპაში მოჭადრაკე აღარ დარჩა — ყველა სტამბოლშია

*სტამბოლში, ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის მეხუთე ტურში ქართველმა დიდოსტატმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა იუგოსლაველ დიდოსტატ ბრანკო დამლიანოვიჩს მოუგო და რამდენიმე მონაწილესთან ერთად გათამაშების ცხრილის სათავეში მოექცა*



ზურაბ აზმაიფარაშვილი

„რთული პარტია გამოდგა, თამაშამდე ჩვენს ბიჭებთან გავიარე კონსულტაცია და ესეც ცოტათი დამეხმარა. დამლიანოვიჩი გამოცდილი მოჭადრაკეა და ძნელი იყო მისი დამარცხება. იგი საიმედოდ იცავდა თავს და რამდენიმე ეპიზოდში საეჭვოც იყო ჩემი გამარჯვება, თუმცა ბოლოს, 53-ე სვლაზე ლაზიერით F6 უჯრაზე მდგარი მხედარი ავართვი და მანაც თამაში შეწყვიტა" — გვითხრა აზმაიფარაშვილმა, როცა სტამბოლში დავუკავშირდით.

ასევე მოწინავეთა შორისაა ახალგაზრდა ქართველი დიდოსტატი მერაბ გაგუნაშვილი. კვირას, მესამე ტურის პარტიაში მერაბი ჩემპიონატის მონაწილეთა შორის საუკეთესო რეიტინგის მქონეს, უკრაინელ დიდოსტატ ვასილი ივანჩუკს დაუპირისპირდა და ყაიმით დაუსრულა შეხვედრა.

თეთრებით მოთამაშე უკრაინელი ახალგაზრდა ქართველთან ალბათ იოლ მოგებას ელოდა, თუმც ლაზიერი ნაცარში ჩაუვარდა.

ივანჩუკმა თამაში E4-ით დაიწყო და ფიგურების ხელსაყრელ პოზიციაზე განლაგებას შეუდგა. მერაბმა კი დებიუტშივე საროქო პოზიცია შეიქმნა. საკუთარ მეფეს საიმედო დაცვა დაუყენა და მრისხანე მეტოქეს მტკიცედ დაუხვდა. ერთ მომენტში ახალგაზრდა ქართველი პაიკითაც დაწინაურდა, მაგრამ უკრაინელმა მალე აღადგინა წონასწორობა.

შუა თამაშში ივანჩუკმა დიდი შეტევისთვის მოამზადა ფიგურები, რაც მერაბს შეუმჩნეველი არ დარჩენია, იერიშზე გამოსულ მეტოქეს კარგად მომზადებული დახვდა და უკრაინელს იქით შეუტია. თამაში საკმაოდ დაიძაბა, ივანჩუკი სახიფათოდ უტევდა ქართველის მეფეს, თუმც გაგუნაშვილმა შეძლო დაძაბულობის განმუხტვა. რამდენიმე სვლაში კი მეტოქეებმა ლაზიერებიც გაცვალეს და 41-ე სვლაზე ყაიმი გამოაცხადეს.

მეორე დღეს მერაბი შედარებით სუსტ მეტოქეს, ტკაჩოვს დაუპირისპირდა და მასაც მოკლე დროში დაუზავდა ვაჟთა პირველობის პარალელურად სტამბოლში გუშინწინ ევროპის ქალთა ჩემპიონატიც დაიწყო, რომელშიც 30 ქვეყნის 115 მოჭადრაკე მონაწილეობს. ევროპირველობაზე მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურებიც გათამაშდება და მას პირველ ჩვიდმეტ ადგილზე გასულები მიიღებენ.

ამ ჩემპიონატზე უძლიერესმა ქალებმა მოიყარეს თავი. ნომერ პირველ მოჭადრაკე ქალის, იუდით პოლგარის გარდა თითქმის ყველა სტამბოლშია — გასული წლის ჩემპიონი ანტუანეტა სტეფანოვა, ალმირა სკრიპჩენკო, ალისა გალიამოვა, სვეტლანა მატვეევა და სხვანი. ჩემპიონატის საპრიზო ფონდი 44 ათასი ევროა და პირველ ადგილზე გასული 8 ათასს მიიღებს. მეორეადგილოსანს 6 ათასი ხვდება, მესამეს — 5 ათასი.

ჩემპიონატზე ყველაზე მეტი მონაწილე როგორც ყოველთვის, რუსებს ჰყავთ — 23 ქალი. მეორეზე ჩვენი მანდილოსნები არიან 10 მონაწილით, აი, მათი სრული სიაც: ნონა გაფრინდაშვილი, ნინო ხურციძე, ქეთევან არახამია-გრანტი, მაია ლომინეიშვილი, ანა მათნაძე, ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი, სოფიო გვეტაძე, სოფიო ტყეშელაშვილი და ნათია ჯანჯღავა.

ჩვენმა ქალებმა ჩემპიონატი წარმატებით დაიწყეს, სოფიო ტყეშელაშვილის გარდა ყველამ მოიგო. პირველივე დღეს სოფიო ევროპის 2000 წლის ჩემპიონს ნატალია ჟუკოვას შეხვდა და ყაიმით დაუსრულა პარტია, რაც, ალბად, ურიგო შედეგი არ უნდა იყოს.

**ლაშა გეგეჭკორი**

---

ჰოკეი

## NHL სტენლის თასი

### ფინალი ოთხ მოგებამდე

### ნიუ ჯერსი 2:2 ანაჰაიმი




REUTERS ანაჰაიმიდან

„ოქროს გოლის" გამტანი სტივ ტომასი

# დაპარქმათ ოვერტაიმს ანატაიმი

## დამატებული დრო, რა თქმა უნდა, იხვებისაა

2 მაისი

**ანაჰაიმი 1:0 ნიუ ჯერსი** *0:0 0:0 0:0 1:0*

**1:0 ტომასი (61)**

ანაჰაიმი: ჟიგერი; ჰაველიდი—კარნი, ოზოლინში—სოიერი, ვიშნევსკი—სალეი; კარია—ოუთსი—სიკორა, ლეკლერკი—რუჩინი—ნიდერმაიერი, ტომასი—პოლსონი—ჩისტოვი, ბილსმა—კროგი—შუინარი

ნიუ ჯერსი: ბროდო; სტივენსი—რაფალსკი, ნიდერმაიერი—უაიტი, ტვერდოვსკი—ალბელინი; ჯიონტა—მედენი—პანდოლფო, ელიაში—გომესი—მარშალი, ლანგენბრუნერი—ბრილინი—ფრიზენი, ბიჩეკი—რაპი—რიომი

სადაცაა, ნიუ ჯერსის ქომაგები „ვერცხლის გოლის" წესის შემოღებას მოითხოვენ. მართლაცდა, სხვა რაღა დარჩენიათ, როცა ოვერტაიმებში ანაჰაიმის დამარცხება შეუძლებელია. კალიფორნიელებმა უკვე მეექვსედ გაიტანეს წლევანდელ პლეი ოფში „ოქროს გოლი".

„ეშმაკთა" გულშემატკივრების გულისტკივილი გასაგებია. მთლიანობაში ხომ ოთხივე მატჩში მათი გუნდი უკეთ გამოიყურებოდა. ისტრეზერფორდში გამართულ ორივე თამაშში „ეშმაკთა" უპირატესობა აშკარა იყო, ანაჰაიმში კი ორჯერვე ბრძოლა თანაბარი იყო, თუმც ბედმა მასპინძლებს გაუღიმა. ამჯერად მათ არც აცალეს ნიუჯერსელებს გონს მოსვლა. ოვერტაიმის პირველივე წუთზე ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს: სანდის ოზოლინშის პასის შემდეგ სამუელ პოლსონს უნდა გაეტანა, მაგრამ ნიუჯერსელთა მეკარე მარტინ ბროდომ სასწაულებრივ იხსნა კარი. მალე შაიბა ანაჰაიმის ვეტერან სტივ ტომასს მიუვიდა, რომლის დარტყმაზეც მეკარემ რეაგირება ვეღარ მოახერხა. საინტერესოა, რომ 39 წლის ტომასს თასი არასდროს მოუგია, მიუხედავად იმისა, რომ ადრე გაცილებით სახელიან გუნდებში თამაშობდა და საპლეიოფო მეომრის რეპუტაციითაც სარგებლობს. ორშაბათის თამაშმა ვეტერანის ოცნება, კარიერის დასრულებამდე ერთხელ მაინც ალემართა თასი, გაცილებით რეალური გახადა. „ახლა სხვა საქმეა. სერიაში ანგარიში გათანაბრდა. რაც მთავარია, ამჯერად ისტრეზერფორდში სხვა განწყობით ჩავალთ და სხვანაირად ვითამაშებთ — ხარობდა მატჩის შემდეგ ტომასი.

მომდევნო შეხვედრაში რაც უნდა მოხდეს, სერია ანაჰაიმში აუცილებლად დაბრუნდება, რადგან მეექვსე თამაში გარდაუვალია.

ახლა რა ხდებოდა ძირითად დროში. გოლები არა და არ გავიდა და სკეპტიკოსებსაც აქვთ მიზეზი, თქვან, ესეც ჩვენი ნიუ ჯერსი — ანაჰაიმის სერია, ხომ ვამბობდით, უინტერესო იქნებაო. ვინც თამაში ნახა, დაგვეთანხმება, რომ ეს ასე არ არის. მატჩი ძალიან შინაარსიანი, დაძაბული გამოდგა და სხვა შეხვედრებს არაფრით ჩამოუვარდებოდა. მეტიც, ამჯერად პირველი პერიოდიც კი საინტერესო იყო — პირველივე წუთებში დასჭირდათ მეკარეებს თავიანთი ოსტატობის ჩვენება. მეორე მესამედში კი ორივე მეკარე ძელებმაც იხსნა — ერთხელ ჟიგერი გადარჩა, ორჯერ — ბროდო, თან ისეთ მომენტებში, როცა ვეღარ ახერხებდნენ მოგერიებას. ბოლო პერიოდში კი კინაღამ წინა მატჩის კურიოზი განმეორდა — ბროდოს კვლავ შეუჩნდა ეშმაკი და, ცოტაც კიდევ ერთ უნიკალურ ავტოგოლს გაიტანდა. ამჯერად რუსლან სალეის პასის შემდეგ შაიბა ბორტიდან ასხლტა და კარის გასწვრივ გასრიალდა. მეკარემ მისი დამორჩილება სცადა, მაგრამ ხელთათმანი უშნოდ გაიქნია და კიდევ კარგი, ბოლო წამს ყვანჯით შეაჩერა შაიბა, რომელიც პირით ხაზზე „დაკიდებულიყო".

ბოლო მესამედში კი გუნდები ძალიან ფრთხილობდნენ და თანდათან ნათელი გახდა, რომ ოვერტაიმი გარდაუვალი იქნებოდა. ამ სიტუაციაში ანაჰაიმის სურვილი გასაგები იყო, მაგრამ რას ფიქრობდნენ ნიუჯერსელები?! მათი ნაკლებაქტიურობა ნიუჯერსელთა თავკაცმა პეტ ბიორნსმა თავად აუხსნა ჟურნალისტებს: „ჩვენი მეტოქე ოვერტაიმებს ძალიან ძლიერად ატარებს. ამიტომაც ერთი სული გვქონდა, როგორმე დამატებით დროში მოგვეგო. რის შემდეგაც ისეთი თავდაჯერებულები აღარ იქნებოდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, არ გამოგვივიდა".

ვფიქრობთ, ამიერიდან ნიუ ჯერსი აღარ გამოსცდის ბედს.

**სამველ ლარიბიანი**



REUTERS ანაჰაიმიდან

მარტინ ბროდომ კინაღამ თავის თავს გაუტანა

---

რაგბი




# რაგბის ნილოსი ცრემლად დაიღვარა

## ამდენი ტაში სტალინს არ რგებია




88 სანაკრებო კეპის და უელსის უელსის ნაკრებში საარაკოდ ბევრი, 1051 ქულის მომხვეჭმა ნილ ჯენკინსმა სანაკრებო კარიერის დასასრული კარდიფში „მილენიუმზე", „ბარბარიოსებთან" მატჩში ინება. „ბარბაროსები" ათასი ჯურის მორაგბისგან დაკომპლექტებული ნაკრებია, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობს და სარაგბო ჯახებს განსაკუთრებულ ელფერს მატებს. ამ დღეებში უელსს ეწვია მსოფლიო გუნდი, რომლის წევრთა სანაკრებო კეპების ჯამი 1000-ზე მეტი იყო.

ჯენკინსის უელსმა ეს ჯახი 35:48 წააგო. დიდმა ნილმა კი სიმბოლურად ბოლო გარდასახვა გაიტანა და ასე დაემშვიდობა უელსის ნაკრებს.

მატჩის შემდეგ ემოციებმა იძალა. „მილენიუმზე" შეკრებილმა 60 ათასამდე ფეხზე წამომდგარმა ქომაგმა ნახევარსაათიანი (!) ოვაცია მოუწყო ჯენკინსს, რომელმაც უელსის ნაკრების კვართში გამოპრანჭული ქალიშვილი აიხუტა და ტრიბუნებს გულისამაჩუყებელი ჟესტებით გადაუხადა მადლობა. მერე იყო გამოსამშვიდებელი სიტყვები, ცხადია, ცრემლიანი...

„ვერ წარმოვიდგენდი, ხალხს თუ ასე ვუყვარვარ. ეს ნაბიჯი არ იყო იოლი გადასადგმელი, მაგრამ მივხვდი, რომ წასვლის დრო დამიდგა და აღარ გავაჯანჯლე. მე მიყვარს „მილენიუმი" და მე მიყვარს უელსი, თქვენ ყველა მიყვარხართ, პატარა ბავშვით დაწყებული მხცოვანი ფანით დამთავრებული." ნამატჩევს გრძნობებად დაიღვარა ეს კაჟივით კაცი.

31 წლის ჯენკინსი ნაკრებიდან როგორც მოთამაშე წავიდა, მაგრამ შეიძლება გუნდში კიდევ იმუშაოს. უელსის რაგბის კავშირმა მას ნაკრების უკანახაზელთა გაწვრთნა შესთავაზა.

**ბაჩო სვანიძე**

# ვერ კი არა... ვი!

### კაცები

### მეოთხედფინალი

**გილერმო კორია (7, არგენტინა) — ანდრე აგასი (2, აშშ) 4:6, 6:3, 6:2, 6:4; მარტინ ვერკერკი (ჰოლანდია) — კარლოს მოია (4, ესპანეთი) 6:3, 6:4, 5:7, 4:6, 8:6**

ესეც ასე, ამ უქმეებზე დაწყებული გიგანტთა ელეტა როლან გაროსისთვის მოჭრილი მეორე კვირის საწყის დღეებშიც გაგრძელდა. ახლო წარსულში პარიზული წითელი თიხის სამჯერ დამპყრობ, მაგრამ გუშინწინ მერვედფინალში ვერაფრის შემძლებ გუსტავო კუერტენს გუშინდელი მეოთხედფინალური მატჩებიდან უცერემონიოდ გაყრილი მქუხარე სახელები ანდრე აგასი და კარლოს მოია მიჰყვნენ. ამ დიდი ტრიოს გავარდნის შემდეგ ამ სლემტურნირს ერთადერთი ძველი ჩემპიონიღა შერჩენია, ალბერტ კოსტა, ისიც დღეს მეოთხედფინალში ჯანითა და სულიერი ენერგიით ალსავსე თანამემამულეს ტომი რობრედოს ხვდება და თუ ისიც გადაჰყვა ბოლოსწინას წინა საფეხურს როლან გაროსის ფინალში ახალი ჩემპიონი დაიბადება. რობრედო მშვენიერ ფორმაშია, რის დასადასტურებლად მის მიერ — შეხსენებაც სირცხვილია — ლეიტონ ჰიუიტის და გუგა კუერტენის დაჩოგვნაც კმარა.

ჩავლილ მატჩებს დავუბრუნდეთ, რომლებმაც, ყოველ შემთხვევაში, ერთი კაცი მაინც თავიდან შვა. ჰოლანდიელ ოქლაქს, მარტინ ვერკერკს როლან გაროსამდე სულ ორი სლემტურნირის კორტზე შეუდგამს ფეხი, მაგრამ ისე სუსტად, რომ რაიმე თვალში მოსახვედრი კვალი ვერ დაუტოვებია. ახლა კი მას ბევრი გაიცნობს.

ვერკერკმა გაიარა სამი მეტოქე და მეოთხეს კარლოს მოიას, როლან გაროსის 1998 წელს მომგებ ბობოლას რომ მიადგა, თავს უკვე დიდ წარმატებად უთვლიდა. მაგრამ დაიწყო ყოფილ ჩემპიონთან მატჩი და ჰოლანდიელმა შეატყო, რომ ამის წაქცევაც შეუძლია, 6:3 მოგებულ პირველ სეტსაც, 6:4 ჩათვლილი მეორე მოჰყვა. მოია რის მოია იქნებოდა, აგრე იოლად დაეშვა ჩოგანი. ესპანელმა მთელ თავის გამოცდილებას და სულიერ ძალებს მოუხმო და უმძიმეს მესამე სეტში 7:5 იძალა, ხოლო მეოთხეში შედარებით იოლადაც წაიყვანა საქმე და ანგარიშიც გაათანაბრა. საქმე მეხუთე სეტამდე მიდგა და ახლა ვერკერკს მოუხდა უხილავი ძალების თავმოყრა და საკუთარი თავის მებრძოლი ნახევრის დაქოქვა. გამოუვიდა — 8:6 გადასძალა სახელოვანი მეტოქე და ნახევარფინალსაც უწია, სადაც ის ამ ეტაპზე გასული ერთადერთი განუთესავი იქნება. იქ ჰოლანდიელი აგასის მძლეველ არგენტინელს, გილერმო კორიას შეეჭიდება.

მოიას დამჯაბნავისგან განსხვავებით, ანდრე აგასის დამჩოგნავ კორიას როლან გაროსამდე მოუსწრია სამაუწყებლო საშუალებათა საჩოგბურთო გვერდებზე სახელის მოფენა. გალერმო კორია წლეულს თავს ელიტაში იმკვიდრებს და — თავადაც ხედავთ — ეს არც თუ ცუდად გამოსდის. პარიზამდელ წარმატებათაგან უთუოდ აღსანიშნავია ჰამბურგის მოზრდილი სათიხნარო ტურნირის ჩემპიონის ტიტული, სათქმელია მონტე კარლოს ასევე ცნობილი კორტების ფინალისტობაც. ამ წარმატებებმა ახალგაზრდა არგენტინელი საყოველთაო კლასიფიკაციაში იმდენად აამაღლა, რომ როლან გაროსზე განთესვის ნომრად მას 7 ერგო.


ანდრე აგასიმ გილერმო კორიასთან მარცხი ძალიან განიცადა

REUTERS

კორიას და აგასის ჩოგნაობა მიმავალი და მომავალი თაობების ბრძოლა იყო. 33 წლის აგასიმ პირველი სეტი კი აართვა 21 წლის მეტოქეს, მაგრამ მერე ამან მთელი თავისი ყმაწვილკაცური ენერგია ჩააყოლა ჩოგნის ყოველ გაქნევას და ანგარიში თავისთვის სასურველი მიმართულებით მიმართა. აგასიმ ვერ გაუძლო გიჟურ ტემპს, კორტის ერთი კუთხიდან მეორეში სირბილმაც მოქანცა ხნიერი სთარი და მანაც სამი სეტი მიჯრით დაუთმო არგენტინელს.

„ეს დაუჯერებელია — ალალად ხარობდა კორია ნამატჩევს — ოცნება რეალობად მექცა, ჭროლან გაროსის ნახევარფინალში ვარ. თანაც ანდრეს მოვუგე, ჩემი ბავშვობის კერპს."

დღეს დარჩენილი ორი მეოთხედფინალია — ტომი რობრედო კოსტას რომ ხვდება, ეს ზემოთაც ვახსენეთ. ხოლო ამ წრის მეოთხე მატჩში ჩილელი ფერნანდო გონსალესი მესამე ნომრად განთესილ ესპანელს ხუან კარლოს ფერეროს ჩაუვარდება ჩოგანში.



REUTERS

ვაუუუ! მარტინ ვერკერკს კარლოს მოიას დამარცხება ვერც დაუჯერებია

# ამბავ-ხაბარი

### ჯიდევაც დავლევ, ჯიდევაც მოვწევ...



ჰოლანდიელი მარტინ ვერკერკი ის კაცია, რომელიც 18-დან 21 წლამდე, ანუ სპორტსმენად ჩამოყალიბების პერიოდში კიდევაც სვამდა, კიდევაც ეწეოდა და არც ქალებთან სეირნობას იკლებდა. ჩოგბურთის თამაში არასდროს ყოფილა მისთვის ცხოვრების კრედო, ჩოგანს ვერკერკი ისე, გასართობად თუ იქნევდა ხოლმე.

„მაგარი ზარმაცი ვიყავი, ვარჯიშის გაგონებაც არ მინდოდა. სრულწლოვანი გავხდი თუ არა, ხარბად დავეწაფე ცხოვრების სიამეებს. მე ყველაფერი მინახავს და გამომიცდია, სპორტის გულისთვის უკან არაფერზე დამიხევია" — ამბობს 24 წლის ვერკერკი.

დღეს მარტინი სხვა კაცია. კვირას როლან გაროსზე მე-11 ნომრად განთესილი რაინერ შუტლერი სეტის დაუთმობელად დაამარცხა და მეოთხედფინალს უწია. ბაირამობას ნაჩვევმა ვერკერკმა არცთუ დიდი ხნის წინ ნამდვილი სპორტული ცხოვრება დაიწყო და ჩოგანს მაგრად ჩაბღუჯა ხელი. მასში ჩაბუდებული ნიჭი კვირტივით თანდათან დაიბერა და საფრანგეთის მთავარტურნირზე აღმოცენდა. არადა, როლან გაროსამდე ვერკერკს კინკილა სლემმატჩიც ვერ მოეგო. მეოთხედფინალში მას გაცილებით სერიოზული მეტოქე, როლან გაროსის 1998 წელს მომგები კარლოს მოია ელის.

### ფრანგული უფრანგოდ

ფრანგებს რომ შინაურ დიდ სლემზე არ უმართლებთ, საქვეყნოდ ცნობილი ამბავია. მასპინძელმა ბოლოს ზუსტად 20 წლის წინ, 1983 წელს მოიგო როლან გაროსი და ეს შეძლო იანიკ ნოამ, ვინაც ცნობილი შვედი, მატს ვილანდერი დაამარცხა ფინალში.

შვიდგზის მესლემტიტულე ვილანდერი იხსენებს: „მე კარგად მახსოვს, რომ იანიკთან წაგებას დიდად არ დავუნაღვლიანებივარ. პირიქით, რაღაცნაირად გამიხარდა კიდეც, რომ მან მშობლიური ტურნირი მოიგო".

ვილანდერის გულწრფელობაში ეჭვი არ შეგეპარებათ, თუ გაგახსენებთ, რომ დიდი შვედი იანიკის გვერდში იყო მაშინაც, როცა პარიზის ტრიუმფალური თაღის ახლოს მდებარე ერთ-ერთ კლუბში ფრანგი საკუთარ ტრიუმფს აღნიშნავდა.

მას მერე მხოლოდ 1988 წელს ყოფილა ფრანგი როლან გაროსის მოგებასთან ახლოს. ანრი ლეკონტმა მაშინ ფინალს უწია და იანიკ ნოას გმირობა ვეღარ გაიმეორა — ფინალში მათს ვილანდერთან დამარცხდა.

ფრანგები წლეულსაც უტიტულოდ დარჩნენ. მათი ბოლო იმედი იყო არნო კლემანი, რომელიც მეტად ჭკუამხიარული ვინმეა და მრავლისმნახველი პარიზული კორტები პოდიუმად აქცია. კლემანი ყოველ მატჩში თითოეული სეტის შემდეგ იცვლიდა შორტებსა და ბენდენას. ალბერტ კოსტასთან საბედისწერო მატჩი კლემანმა ცისფერ შორტებსა და ვარდისფერ ბენდენაში დაიწყო (საფრანგეთის ფერებია). მოგვიანებით მის თავ-ტანზე მწვანემ, ყვითელმა, წითელმა და ფორთოხლისფერმა იელვა.

### მაკინროი ჯამბაზობს, რათა დაწეროს

დიად მეჩოგნესა და კორტზე ჯამბაზობით ცნობილ ჯონ მაკინროის ავტობიოგრაფიული წიგნის დაწერა გადაუწყვეტია და ამ წიგნის ერთ-ერთი თავისთვის, რომელიც საფრანგეთის ღია პირველობას მიეძღვნება, მასალებს ჯერაც აგროვებს.

მაკინროი ახლა 44 წლისაა და „როლან გაროსზე" 35-ზე უფროს წყვილთა ტურნირში თამაშობს ასევე ცნობილ მიხაელ შტიხთან დუეტში. თამაშობს კი არა, უფრო ოხუნჯობს, მაყურებლის გართობა ხომ მას მაშინაც არ ავიწყდებოდა, როცა დიდ სლემებს იგებდა და ახლა რაღას იზამს ხანშიშესულთა მართლაც გასართობი ტურნირის მონაწილე.

იმ დღესაც, მაკინროიმ სულ ღლაბუც-მასხარაობაში გალია ორივე მატჩი და შტიხთან ერთად მომდევნო წრეს უწია.

„მოგება მოგებაა, მაგრამ ასე ლამაზად ამ ტურნირზე ჯერ არ მითამაშია — ღიღინებდა მაკინროი — „პენსიონერთა" ტურნირი ისეთია, მთელი სერიოზულობით ვერ მიუდგები კაცი, განსაკუთრებით მე, მუდამ ხალისობის მოყვარული ჩოგბურთელი".

მატჩის შემდეგ სამახსოვრო ფოტოს რომ იღებდნენ, ჟურნალისტები მაკინროის ქალ მეჩოგნეთა ტურნირზე დაეკითხნენ. ჯონს თურმე ბელგიელის, ტურნირზე მე-4 ნომრად განთესილი ჟუსტინ ენენ-არდენის ჩოგნაობა ხიბლავს და ფრანგული სლემის მოგებასაც მას უწინასწარმეტყველებს. ისე კი, მაკინროის ძალიან გაჰკვირვებია, მხელა ვინუს უილიამსმა უსახელო ვერა ზვონარევასთან როგორ წააგოო...

ვის არ გაუკვირდებოდა...



# დედქალამ კაცქალას მოუგო

### ქალები

### მეოთხედფინალი

**სერენა უილიამსი (1, აშშ) — ამელი მორესმო (5, საფრანგეთი) 6:1, 6:2; ჟუსტინ ენენ-არდენი (4, ბელგია) — ჩანდა რუბინი (8, აშშ) 6:3, 6:2; ნადია პეტროვა (რუსეთი) — ვერა ზვონარიოვა (22, რუსეთი) 6:1, 4:6, 6:3; კიმ კლაისტერსი (2, ბელგია) — კონჩიტა მარტინესი (24, ესპანეთი) 6:2, 6:1.**

ქალების მეოთხედფინალურმა შეხლებმა კაცებთან შედარებით ლოგიკური ქსელის აუწეწავად ჩაიარა. მომგებებმა მოიგეს და ოთხი უმაღლესი განთესილიდან სამმა უწია ფინალურ ოთხეულს. განთესილთა ზეოთხეულის მეოთხე, უფრო ზუსტად კი მესამე წევრი ვინუს ვილიამსი — თქვენც გეხსომებათ — წინა წრეში გავარდა.

ვინუსის გამგდებმა რუსმა ვერა ზვონარიოვამ შავ დევქალთან დამღლელი ბრძოლის შემდეგ სუსტი თანამემამულის, თანაც რანგით უმცროსი ნადეჟდა პეტროვას მოძალებას ვეღარ გაუძლო და ტრიბუნებს და უფრო მაღალ წრეებში თამაშის ოცნებას ხელი დაუქნია.

პეტროვა კი მომეოთხედფინალე გოგონებში ერთადერთი განუთესავი გახლავთ. ცხადია, მისალოცად აქვს საქმე, მაგრამ ძნელია მის შემდგომ წარმატებებზე საუბარი. საწყალი რუსი თვით კიმ კლაისტერსს ჩაუვარდა ბუთხუზა ხელებში, რომელსაც ამ სლემტურნირზე უკვე ხუთი კაცის, უკაცრავად ქალის, გაგდების ცოდვა აწევს.

რაღა თქმა უნდა, მეოთხედფინალშია შავი დევგოგო სერენა უილიამსი, როლან გაროსის შარშან მომგები და წლეულსაც უპირობო ფავორიტი სერენას მეოთხედფინალში ძნელი მეტოქე ფრანგი ქალ-კაცა ამელი მორესმო ჰყავდა — აგერ ანგარიშს დახედეთ — უიოლესად მოუგო. სერენას ბოლოსწინა მეტოქე კნაჭა ბელგიელი ჟუსტინ ენენ-არდენი გახლავთ.



REUTERS

სერენა უილიამსმა წლევანდელი როლან გაროსის ბოლო ფრანგი ამელი მორესმო მოიგელა


REUTERS ვალეტადან

# ფერნანდესი ჩოგბურთზე

როლან გაროსი გახურებულა და მთავარი კორტის ტერასაზე დიახაც ამოიცნობთ „პარი სენ ჟერმენის“ ფეხბურთელთა გიჟმაჟ მწვრთნელს, ლუის ფერნანდესს. ლუისი თან მუსიკას უსმენს, თანაც გუგა კუერტენისა და ტომი რობრედოს მატჩს უცქერს. რობრედომ კი მოიგო 6:4, 1:6, 7:6, 6:4.


REUTERS პარიზიდან

# ბეღურა


REUTERS ვალეტადან

მალტის დედაქალაქ ვალეტაში, „ტა ქალის“ სტადიონზე ევროპის პატარა ქვეყნების თამაშები გაიხსნა. ათ სახეობაში ერთმანეთს შეეჯიბრებიან მასპინძელი, ლუქსემბურგელი, კვიპროსელი, მონაკოელი, ანდორელი, ისლანდიელი, ლიხტენშტაინელი და სანმარინოელი სპორტსმენები. ცხადია, გახსნას დაესწრო ოლიმპიური კომიტეტის თავკაცი ჟაკ როგი, რომელსაც გახსნის ცერემონიალისას ერთი ლამაზი ამბავიც შეემთხვა: პოდიუმზე სტადიონის შვერილს შეჯახებული ფრთამოტეხილი ბეღურა ჩამოვარდა, რომელიც მალტის პრეზიდენტმა გვიდო დე მარკომ აიყვანა ხელში და უპატრონა. კარგი ნიშანიაო, ასე აღიარეს.

# შეჯიბრის წინ

ეს ჯერჯერობით საჩვენებელი ნახტომია ლოჰ ლინის ტბის პირას შოტლანდიაში, ფორტ უილიამში მთის ველოსიპედისტები შეყრილან და მსოფლიო თასის მორიგი სერიაც მოახლოებულ უქმეებზე დაიწყება.


REUTERS ფორტ უილიამიდან



REUTERS სენტ გალენიდან

# ფორხილი

ცოტათი კი წაიფორხილა ირლანდიელ კევინ ბაბინგტონის ცხენმა კარლინგ კინგმა, ერთ მორიგ ხერგილს ვეღარ გადაევლო და ჟოკეიც გვარიანად ანერვიულა. თუმც, შვეიცარიულ სენტ გალენში გამართული შეჯიბრი მაინც ირლანდიელებმა მოიგეს და მასპინძლებსა და ფრანგებს გადაუსწრეს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგელაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge